http://www.tsu.ge/newspaper

ალმა მატერ

23 ოქტომბერი
ორშაბათი
N2 (2047)
2006 წელი

გაზეთი გამოდის
თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი | გამოდის 1927 წლიდან | ფასი 30 თეთრი

ვინ და რატომ აცდენს ლექციას

ამ პრობლემაზე დეპარტამენტის ხელმძღვანელები საუბრობენ

მაია ტორაძე

უნივერსიტეტი მყარად დაადგა რეფორმების გზას, რომელზეც, ბუნებრივია, წინააღმდეგობებიც ბევრი ხვდება და პრობლემებიც. მით უფრო, ახალ სასწავლო სისტემაზე გადასვლის პირველ წელს, როცა ჯერ კიდევ დასახვეწია ძირითადი და დამატებითი სპეციალობებისა და საგნების არჩევის მექანიზმი. ისიც უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტს აკადემიური კონკურსის ჩატარების შემდეგ ძალზე ცოტა დრო ჰქონდა საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, რამაც გარკვეული უხერხულობები შექმნა და სწავლის დაწყების პირველივე დღეებში იჩინა თავი.

მოუგვარებელმა პრობლემებმა სტუდენტთა ერთი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია. ისინი აცხადებენ, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში უწევდათ სარეგისტრაციო რიგებში დგომა, ვერ ახერხებდნენ საგნების არჩევას იმის გამო, რომ ასარჩევი საგნების ჩამონათვალი არც ისე გასაგები იყო, ვერ გაერკვნენ კრედიტების სისტემაში, ცდებოდა ლექციები.

გარდა პირველკურსელებისა, უამრავ კითხვას სვამდნენ ის მესამე-მეოთხეკურსელები, რომელთა მიერ არჩეული მიმართულებები უნივერსიტეტის სპეციალობათა ნუსხაში უკვე აღარ არის.

სტუდენტთა უკმაყოფილება რეაგირების გარეშე არ დარჩენილა, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცადეთ, გაგვერკვია — რა იყო ამ პრობლემების მიზეზები?

მალხაზ მაცაბერიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი:

— უნივერსიტეტში რეფორმა მიმდინარეობს და, ცხადია, გარკვეული

სტუდენტთა რეგისტრაცია

სიძნელეები იქნება, რადგან ახალი სისტემის თავიდან შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე გადაკეთება. მომუშავე მექანიზმის გარდაქმნა ძალიან ბევრ პრობლემებს უკავშირდება ხოლმე და ერთერთი ასეთი პრობლემა აღმოჩნდა სტუდენტთა რეგისტრაცია.

— რატომ, რეგისტრაცია ხომ კომპიუტერის მეშვეობით ხდება?

— დიახ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კომპიუტერული სისტემა გაუმართავია. მუშაობის პროცესში ძალიან ბევრი შენიშვნები გაჩნდა, რაც იმას მიანიშნებს, რომ ეს პროგრამა დასახვეწია. ასევე მოსაწესრიგებელია რეგისტრაციის წესი და საგნების არჩევის მექანიზმიც, რადგან **ნუსხაში საგნები განთავსებულია არა პროგრამების მიხედვით, არამედ ანბანურად** და სტუდენტს უჭირს ანბანურ ჩამონათვალში იპოვოს თავისთვის საჭირო საგნები.

ჩვენს დეპარტამენტში, მაგალითად, ეს პრობლემა სხვაგვარად გადავწყვიტეთ — დეპარტამენტის ორი თანამშრომელი დავაკავეთ ამ საქმეზე: პირველკურსელ სტუდენტებს ვიბარებთ დეპარტამენტში და იქ ვეხმარებით არჩევანის გაკეთებაში.

— თქვენი აზრით, მხოლოდ კომპიუტერულმა პროგრამამ გამოიწვია რეგისტრაციის პროცესის გაჭიანურება?

— საქმე ისაა, რომ რეგისტრაციის დაწყება არ უნდა ემთხვეოდეს სასწავლო სემესტრის დაწყებას, რადგან 15-კვირიანი სემესტრიდან, მინიმუმ, ორი-სამი კვირა დაკარგულია. კი, ბატონო, სასწავლო სემესტრი დაიწყოს 2 ოქტომბერს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სტუდენტთა რეგისტრაცია უნდა მიმდინარეობდეს 5 სექტემბრიდან, რომ დასრულდეს რეგისტრაციის პროცესი და სასწავლო წელი დაიწყოს ისე, რომ ყველამ იცოდეს, რომელი საგანი რამდენმა სტუდენტმა აირჩია, როგორია ჯგუფები, როგორია მასწავლებელთა დატვირთვა. იმედი გვაქვს, რომ ეს გამოცდილება და სამართლიანი შენიშვნა, რომელსაც გამოთქვამენ ლექტორებიც და სტუდენტებიც, გათვალისწინებული იქნება.

— სტუდენტები აცხადებენ, რომ აუდიტორიების მოძებნა ჭირს...

— აუდიტორიების პრობლემა კიდევ სხვა საკითხია. ვისაც საშუალება აქვს, თვალი მიადევნოს, თუნდაც პირველ კორპუსში მიმდინარე პროცესებს, დამეთანხმება, როგორ კატასტროფულად იკლებდა სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა. იხსნებოდა რაღაც კაბინეტები, რომლებიც იკეტებოდა და ახლა ძალზე სერიოზული პრობლემაა მათი გაღება. მაგალითად, მე მქონდა ლექცია პირველკურსელებთან და კარი ჩაკეტილი დამხვდა. გარკვეული დრო დასჭირდა გასაღების პოვნას. თუმცა, ახლა პირველ კორპუსში, მგონი, ეს პრობლემა მოგვარდა.

— სტუდენტების ნაწილი ლექტორთაგან ლექციების გაცდენაზეც საუბრობს...

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ანონსი

ბიბლიომეტრია – შესაძლებელია თუ არა მეცნიერების ხარისხის გაზომვა
ÌÄ-9 ÂÅ.

გვიჯდება თუ არა სიცოცხლის ფასად ზარი ახლოგელთან
ÌÄ-8 ÂÅ.

ნამდვილი მეცნიერი არ მიდის სამეცნიერო არენიდან

ინტერვიუ პროფესორ ნუგზარ ალექსიძესთან
ÌÄ-10 ÂÅ.

რა კრიტერიუმებით შეაფასებს აკადემიური საბჭო რექტორს არჩევისას

კომენტარები

პოლიტიკაში ჩვენ მიჩვეულნი ვართ არჩევანის გაკეთებას ცუდსა და უარესს შორის. საუნივერსიტეტო არჩევნები სწორედ იმით არის ღირებული, რომ აქ არჩევანი კეთდება კარგსა და ნაკლებად კარგს შორის. ვინ ადგენს შეფასების კრიტერიუმს უნივერსიტეტში? — ამ კითხვის დასმა ინტელექტუალურ გარემოში უხერხულიც იქნება, რადგან არჩევანის ის თავისუფლება, რასაც საუნივერსიტეტო რეფორმა სტუდენტს აძლევს, სამეცნიერო ელიტის თავისუფლების ხარისხზეც მიანიშნებს. ამდენად, საზოგადოება სწორედ უნივერსიტეტისგან ელოდება თავისი სიტყვის თქმას პროფესიონალიზმის, და არა მხოლოდ პოპულარობის, სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებისას.

მე-2-4 გვერდებზე

რუსეთის იმპერია იშლება

თვლიან კულტუროლოგები

რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის ტრადიცია პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენს. საქართველოს ხისტი პოლიტიკის გამო ქართული საზოგადოება არ განაწყენებულა ხელისუფლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მატერიალურად თუ მორალურად საკმაოდ დაზარალდა. ამას ისიც განაპირობებს, რომ წლების მანძილზე რუსულმა აგრესიამ ქართველები მის მიმართ დამოკიდებულებაში გაგვაერთიანა. თუმცა ინტელექტუალური ელიტა წუხილს გამოთქვამს იმ ურთიერთობების მოშლაზე, რაც საქართველო-რუსეთს შორის კულტურის სფეროში არსებობდა.

რას ფიქრობენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კულტურის მეცნიერების წარმომადგენლები კულტურული ურთიერთობების გადარჩენის პერსპექტივებზე? არსებობს თუ არა ამის ორმხრივი სურვილი?

მე-5 გვერდზე

„ისე დავიცავით ჩვენი ქვეყნები და რევოლუცია, რომ ტაში დაგვიკრეს“

ერთი სემესტრი ტარტუს უნივერსიტეტში

მე-7 გვერდზე

ინფორმაცია მათთვის, ვისაც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება უნდა

გაცვლითი პროგრამები

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი, რომელსაც სურს სწავლის ერთი ეტაპი უცხოეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გაიაროს? ეს არის კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად ესმით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში. მათი თქმით, გაცვლით პროგრამაში მოხვედრა არ არის რთული, თუ სტუდენტს მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, კარგად ფლობს უცხო ენას და საკონკურსო კომისიას წარუდგენს მყარ მოტივაციის წერილს.

მე-6 გვერდზე

რაც ჭეშმარიტია, მარად თანამედროვეა

„მნათობი“ ისევ გამოდის



„ნოვატორობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დიდი ტრადიციები არსებობს“ — წერს განახლებული ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი თამაზ ჭილაძე პირველი ნომრის შესავალ ნაწილში. ჟურნალი მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ შექმნის მაუწყებელიც არის.

მე-11 გვერდზე

განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის და არჩევნების შესახებ

1. გამოცხადდეს კანდიდატთა რეგისტრაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2006 წლის 2 ნოემბერს 10:00 სთ.-დან.

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაში გატარების ბოლო ვადაა 2006 წლის 2 დეკემბერი 17:00 სთ.

4. დაინიშნოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები 2007 წლის 5 იანვარს.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს თსუ-ს საარჩევნო კომისიაში, მის.: თსუ-ს I კორპ. I სართ. ოთახი №201, ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა — 10:00 სთ.-დან — 17:00 სთ.-მდე.

6. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) თსუ-ს ან სხვა აკრედიტირებული დაწესებულების სრული პროფესორის დამადასტურებელი საბუთი;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

დ) ავტობიოგრაფია;

ე) სამოქმედო გეგმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

02.10.2006

შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭო ოფიციალურად გაფორმდა. თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანებით, რექტორის მრჩეველთა საბჭოში 9 დამსახურებული პროფესორი გაერთიანდა:

1. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნუგზარ ალექსიძე;

2. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი თუმანიშვილი;

3. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თეიმურაზ იოსელიანი;

4. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი მარიამ ლორთქიფანიძე;

5. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ვაჟა ოკუჯავა;

6. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ტყეშელიაძე;

7. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მზექალა შანიძე;

8. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჯუმბერ ჭუმბურიძე.

9. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ოთარ ჯაფარიძე.

მრჩეველთა საბჭოს შექმნის აუცილებლობის შესახებ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ რამდენიმე თვის წინ განაცხადა და საბჭოც არაოფიციალურად მაშინვე დაკომპლექტდა. იმთავითვე გადაწყდა ისიც, რომ მრჩეველთა საბჭოს წევრ სახელოვან მეცნიერებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში წარმოადგენენ უნივერსიტეტის სახეს, აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსი არ შეეხებოდათ.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, მრჩეველთა საბჭოს წევრებს ხელფასის სახით 700 ლარი დაენიშნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

30 ოქტომბერს წარმომადგენლობით საბჭოს აირჩევენ

30 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმომადგენლობითი საბჭო უნდა აირჩიოს. ეს არის უნივერსიტეტის მართვის მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც აკადემიურ საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებს; მონაწილეობს ბიუჯეტის შედგენის წესისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების შემუშავებაში.

წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიურ საბჭოსთან ერთად, ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურას, ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამდებობებზე მიღების წესებს, შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 18 ოქტომბერს შეწყდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, რომლის დროსაც კანდიდატები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ. მათ უფლება აქვთ ჩაატარონ წინასაარჩევნო კამპანია, მოაწყონ საჯარო დებატები და დისკუსიები, ისარგებლონ უნივერსიტეტის ქონებით.

საარჩევნო კამპანიამ ხელი არ უნდა შეუშალოს სასწავლო პროცესს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის 33 ადგილზე პრეტენზიას აცხადებს 72 კანდიდატი. ამათგან 46 აკადემიური პერსონალია, 26 — სტუდენტი.

წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

რა კრიტერიუმებით შეაფასებს აკადემიური საბჭო რექტორს არჩევისას

ნინო კაკულია

ცნობისთვის, აკადემიური საბჭო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ-ჯერობით, ერთადერთ ლეგიტიმურ მართვის ორგანოდ ითვლება. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 7 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე აკადემიური საბჭოს საერთო რაოდენობა განისაზღვრა 12 წევრით. აკადემიური საბჭოს არჩევნები 29 სექტემბერს გაიმართა. უნივერსიტეტის ექვსმა ფაკულტეტმა აკადემიურ საბჭოში 2-2 წევრი აირჩია. 30 სექტემბერს გამართულ აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რექტორის არჩევნები 2007 წლის 5 იანვარს ჩატარდეს.

აკადემიური საბჭოს წევრებს 2 შეკითხვით მივმართეთ:

1. რა პრობლემები გამოიკვეთა საუნივერსიტეტო რეფორმის მიმდინარეობის პროცესში სასწავლო წლის დაწყებისთანავე?

2. შეფასების რა კრიტერიუმით აირჩევთ უნივერსიტეტის რექტორს?

ლექციების წასაკითხად აუდიტორიები არ გვყოფნის

გიორგი დავითაშვილი, იურიდიული ფაკულტეტი:

— მე იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომელი ვარ. ეს პროცესი ჩვენთან, უკვე ერთი წელია, რაც დაიწყო. ჯერ-ჯერობით ჩვენ ვართ ახალ სასწავლო სისტემაზე გადასვლის პროცესში, რის დასრულებასაც გარკვეული დრო და საუნივერსიტეტო ღონისძიებები სჭირდება. ვთვლი, რომ რეფორმა, შეძლებისდაგვარად, ნორმალურად მიმდინარეობს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას რექტორის არჩევაზე, ჩემი აზრით, რექტორი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს უნივერსიტეტის შიდა სამზარეულოს. უნდა იყოს სულით მეცნიერი, რომ გაიგოს, რა პრობლემები აქვთ მის კოლეგებს. შეიძლება კანდიდატთა შორის იდეალური პიროვნება არ დასახელდეს, მაგრამ მიახლოებით მაინც უნდა აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რასაც წესიერება, ეროვნულობა და პროფესიონალიზმი ჰქვია.

ის მოთხოვნები თუ ხედვა, რაც ცალკეულ ფაკულტეტს აქვს, პირველ რიგში, რექტორმა უნდა გაიზიაროს. მაგალითად, ჩვენს ფაკულტეტს საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს. ვთვლი, რომ რექტორატი ამ პრობლემების გადაწყვეტაში უნდა დაგვეხმაროს. ფაკულტეტს აუცილებლად ესაჭიროება თავისი ბიუჯეტი, რაც უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულია კიდეც. მას საუნივერსიტეტო ორგანოები ამტკიცებენ, მაგრამ ბიუჯეტის ცნება, როგორც ასეთი, არსებობს. ამ ტრადიციის დამკვიდრება გამოიწვევს იმას, რომ ბევრი რამ კონკრეტულად რექტორის პიროვნებაზე და მის სურვილებზე არ იქნება დამოკიდებული. ფაკულტეტის ბიუჯეტის ფორმირება ფაკულტეტზე სოციალურ მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს. ასევე, აუცილებელია, რომ ფაკულტეტს ჰქონდეს გამოჯნული ტერიტორია. ამის გარეშე ნორმალური სასწავლო პროცესის წარმართვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მაგალითად, აუდიტორიები. ფაკულტეტზე 3 500 სტუდენტია და 100-კაციანი აუდიტორია სულ 6 გვაქვს, პატარა აუდიტორია კი — 3. დანარჩენი აუდიტორიები საზიარო გვაქვს, რასაც ხან გვითმობენ და ხან არა. ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. რამდენად შესაძლებელია ამხელა კონტინგენტის პირობებში, როდესაც დაუსწრებელი გაუქმდა, რეალურად წარვმართოთ სასწავლო პროცესი. ეს ძალიან დიდი პრობლემაა. ზოგჯერ ლექციაზე გვყავს 200-300 კაცი. მოგეხსენებათ, ლექტორები არჩევითია. როგორ უნდა წარვმართოთ ნორმალური სასწავლო პროცესი? იმედი მაქვს, რომ ეს რეალურად განხორციელდება უკვე არჩეული რექტორის მიერ.

10 ქართველი მაგისტრი ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალობით პრაქტიკას ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში გაივლის

რევაზ გველესიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:

— რეფორმის აუცილებლობაზე საუბარი უკვე ზედმეტია. იხვეწება სასწავლო პროგრამები, ყალიბდება ახალი სტრუქტურები, ახალი დისციპლინები ყველა ფაკულტეტზე, მათ შორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზეც. გამოიკვეთა საგნები, რომლებშიც არ გვყავს სპეციალისტი. მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალობის მაგისტრებთან სრულიად ახალი სასწავლო სტრუქტურა, სასწავლო გეგმებია შედგენილი.

არის სხვა დისციპლინებიც. ჩვენ, პირადად, ხელშეკრულება გავაფორმეთ ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ინსტიტუტთან და ველოდებით პროფესორების ჩამოსვლას. გერმანელთა მხრიდან მივიღეთ თანხმობა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალობის ათივე მაგისტრი სასწავლო პრაქტიკას ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში გაივლის.

რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას, რექტორის შეფასებისთვის არსებობს მრავალი კრიტერიუმი, მაგრამ, ჩემი აზრით, განმსაზღვრელია შემდეგი: რექტორი უნდა იყოს პატიოსანი, საქმის ერთგული და, ამავე დროს, დიდი მეცნიერი.

სასურველია, გაიზარდოს სემესტრის ხანგრძლივობა

ირმა რატიანი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი:

— ცხადია, რომ რეფორმის ძირითადი ეტაპი დაძლეულია. ჩემი აზრით, უნივერსიტეტის წინაშე დღეს უკვე სხვა სახის ამოცანებია გადასაწყვეტი. ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მაგალითად: სასწავლო პროგრამების საბოლოოდ დადგენა, მათ შორის, სადოქტორო პროგრამების შემუშავება; სადისერტაციო საბჭოს მუშაობის განსაზღვრა და ა.შ.

პრობლემათაგან გამოვყოფდი იმას, რომ სასწავლო წელი გვიან დაიწყო, რის გამოც გარკვეული სირთულეები შეიქმნა. აქედან გამომდინარე სასურველია, სემესტრის ხანგრძლივობა გაიზარდოს, რათა მოესწროს ლექციების კურსის სრულყოფილად წაკითხვა. ამ ეტაპზე ცხრილების შედგენა უკვე დასრულებულია და სასწავლო პროცესი ნორმალურ ფაზაში შედის.

მოგეხსენებათ, დაგეგმილი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო სტრუქტურების რეფორმა. ამ რეფორმის ძირეული ეტაპი უკვე გავლილია. თუმცა, ახლა იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი, როდესაც უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა წარმოაჩინოს სწრაფვა ევროპის საუნივერსიტეტო სისტემასთან ინტეგრირებისათვის. ყოველი ნაბიჯი, მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ეს ფაზა ღირსებისა და ფასეულობების დაცვით გავიაროთ.

უნივერსიტეტის რექტორის შესარჩევად განმსაზღვრელი უნდა იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე კრიტერიუმი. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის სათავეში უნდა იყოს ადამიანი, რომელიც იქნება ანგარიშგასაწევი მეცნიერი თავის დარგში. მას მეცნიერულ კეთილსინდისიერებასთან ერთად უნდა გააჩნდეს ზნეობრივი და ადამიანური კეთილსინდისიერება. გარდა ამისა, ჰქონდეს ის პროგრესული ხედვა, რაც სჭირდება უნივერსიტეტს და საერთოდ უმაღლესი განათლების ქართულ სისტემას.

ხანდახან მინატრია — ჩვენს დროს, ნეტავ, ასეთი სწავლება ყოფილიყო

მარიამ ჩხარტიშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი:

— ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი განათლების სისტემისათვის რეფორმა აუცილებელი და საჭიროა. უკვე იგრძნობა, რომ სტუდენტს აქვს არჩევანის საშუალება. მათ ეს ძალიან მოსწონთ და ჩვენთვისაც მუშაობა საინტერესო ხდება. რა თქმა უნდა, ყველა სიახლე რაღაც სირთულეს იწვევს. საგნების არჩევითობა სპეციალური ინფრასტრუქტურის მუშაობის გამართვას მოითხოვს, რომლის გამოცდილება, ჯერჯერობით, არ გვაქვს — ახლა დავიწყეთ. მაგრამ დროთა ვითარებაში პროცესი დარეგულირდება. ხანდახან მინატრია — ჩვენს დროს, ნეტავ, ასეთი სწავლება ყოფილიყო.

პრობლემა არის არა კონცეპტუალური, არამედ ის, რომ რეფორმის განხორციელებას, პრაქტიკულად, უფრო მეტი სამსახური სჭირდება. ეტყობა, დასავლეთში, სადაც ეს ხორციელდება, არახილული უზარმაზარი სამსახური მუშაობს. საამისოდ ძალები ჩვენ ჯერ არ გვყოფნის. ყველაფერი, ალბათ, გამოცდილების საკითხია და დარეგულირდება.

რაც შეეხება რექტორის არჩევას, უპირველეს ყოვლისა, მხარს დავუჭერ პროფესიონალიზმს და მის მორალურ თვისებებს. ჩემი აზრით, რექტორობა ისეთი თანამდებობაა, რომ გარკვეული კომუნიკაბელურობაც სჭირდება.

მე-4 გვერდზე

ვინ და რატომ აცდენს ლექციას

პირველი გვერდიდან

— გაცდენებს რაც შეეხება — აქ უნივერსიტეტმა უნდა გაამკაცროს კონტროლი. უნდა აღდგეს სამსახური, რომელიც თვალს მიადევნებს ლექტორების მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

სხვა პრობლემებიც არის — მაგალითად, არ არის ბიბლიოთეკა, პროფესორებს არ აქვთ მუშაობის საშუალება — სრულ პროფესორს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო ოთახი, სადაც შეეძლება სტუდენტების მიღება. რიგ დეპარტამენტებს საქმიანობის გაშლის საშუალება არ აქვთ. მაგალითად, პოლიტიკის დეპარტამენტი მოქცეულია ორ პატარა ოთახში. წინა ოთახში ტარდება ლექციები. 30 კაცის ადგილზე 60 ადამიანი იყრის ხოლმე თავს და სუნთქვა ჭირს. ეს უნდა გაითვალისწინოს უნივერსიტეტმა, და ამ სემესტრში თუ ვერ მოესწრო, მეორე სემესტრში მაინც უნდა მოხდეს ფართის გადანაწილება, რომ ყველა დეპარტამენტს მიეცეს მუშაობის შესაძლებლობა. ამ პირობებში მარტო პოლიტიკის დეპარტამენტი არ არის...

სწავლების ახალ სისტემაზე გადასვლისას წამოჭრილ პრობლემებს დროებითს უწოდებს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო ქიმერიძე:

— სწავლის დაწყების გაჭიანურების მიზეზია ის, რომ თვისობრივად შეიცვალა პროგრამები. ეს იმდენად ახალი იყო, რომ მიუხედავად მომზადებისა, მაინც გაჭირდა პროგრამების შეჯერება. როცა სტუდენტებთან მიხდება ურთიერთობა, მეც ვხვდები, რომ სტუდენტისთვის გაურკვეველია, რა არის კრედიტების სისტემა და რას გულისხმობს, როგორ უნდა აირჩიოს საგნები და ა.შ. ალბათ, თანდათან დალაგდება ყველაფერი.

— რამდენად გაამართლა ტუტორების ინსტიტუტმა? თუ მათი მუშაობა ნაყოფიერია, რატომაა ამდენი გაუგებრობა საგნების არჩევის თვალსაზრისით?

— ტუტორების ინსტიტუტმა ნამდვილად გაამართლა, რადგან სტუდენტებს საგნების არჩევა არ გაჭირვებიათ. მათ ეხმარებოდნენ სწორედ ტუტორები, რომლებიც კარგად არიან გათვითცნობიერებული, თუ რა არის ესა თუ ის საგანი, რა მიმართულებისაა და რა მოცულობის. თუ არავინ აუხსნა სტუდენტს, რა არის, ვთქვათ, გერმანული ფილოლოგიის შესავალი, რომანული ფილოლოგიის შესავალი, ინგლისური ფილოლოგიის შესავალი, რა ფორმატით იკითხება ესა თუ ის საგანი, შეუძლებელია დამოუკიდებლად გაერკვეს.

სასწავლო პროცესის, რეგისტრაციის წესისა და საგნების არჩევის მეძანიზმის დახვეწაზე საუბრობს ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით პაიჭაძეც. მას მიაჩნია, რომ სტუდენტთა მიერ დასმული საკითხების უმეტესობა აქტუალურია და რეაგირებას საჭიროებს. პირველივე კითხვაზე, რომელშიც აღვნიშნავდით, რომ პრობლემები ახლა გამოიკვეთა, მან გადაჭრით გვიპასუხა, რომ პრობლემები სწავლის დაწყებამდეც მოსალოდნელი იყო.

დავით პაიჭაძე:

— საგნების არჩევის მოუგვარებლობას და ბევრ სხვა პრობლემასაც დაწერილი წესების არარსებობა, უფრო ზუსტად, ნაკლებობა განაპირობებს, რასაც წერტილი უნდა დაუსვას უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევამ.

— სტუდენტები ჩივიან, რომ ლექტორები თავად ვერ ერკვევიან კრედიტების სისტემაში...

— მიჭირს, დავიჯერო.

— იმასაც აცხადებენ, რომ ლექციები ცდება...

— ლექციების გაცდენა პრობლემაა, რომელიც თანდათან გამოსწორდება. გაურკვევლობისთვის საკმარისად არსებობდა მიზეზები: გაჭიანურებული რეგისტრაცია, თავად რეგისტრაციის (ამჯერად საგნების კომპიუტერულ არჩევას ვგულისხმობ) არცთუ გასაგები სისტემა, თსუ-ში კონკურსის შემდგომი, უაღრესად მოკლე პერიოდი, სასწავლო პროცესისთვის მოსამზადებლად...

— ბატონო დავით, გაუქმებული ფაკულტეტების მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტები, რომელთა სპეციალობებიც გაუქმდა, ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ დაბნეულნი არიან, რადგან, რაც ისწავლეს, არაფერში ეთვლებათ და ახალი სპეციალობის სათანადოდ დასაუფლებლად დრო არ ჰყოფნით. რით შეიძლება ვანუგეშოთ ისინი?

— სტუდენტებს მცდარი წარმოდგენა აქვთ: რაც ისწავლეს, ეთვლებათ და ჩაეთვლებათ. უბრალოდ, საჭიროა დიფერენცირებული და გასაგები მიდგომა ასეთ სტუდენტებთან მათი სასწავლო წლების მიხედვით. შეუძლებელია, მეოთხეკურსელს უთხრა, რომ აქამდე რა გზაც გამოიარა, ფუჭი ყოფილა. შესაძლოა, მისი სპეციალობა გაუქმდა, მაგრამ დარჩა მისი ფაკულტეტი და ამ ფაკულტეტზე კრედიტების შესრულებით ის შეძლებს მიიღოს ბაკალავრის ხარისხი. ასეთ ბედში მყოფ მეორეკურსელებს კი, შესაძლოა, მონიშნული სპეციალობის შეცვლა მოუწიოთ. ყველაზე პრობლემური, ჩემი აზრით, მესამე კურსია და მე თვითონაც ახლა პასუხის ძიებაში ვარ. PR-ის სტუდენტები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოვიდნენ და ვცდილობთ, სურვილები და მოლოდინები არ გავუწბილოთ.

გლიცი

სტუდენტები მალე შეეჩვევიან სწავლას შეცვლილ გარემოში

გვესაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გელა წიფურია**

— ხომ არ დაიბნევა სტუდენტი ამდენი სიახლის ფონზე?

— რეფორმის მიმდინარეობის დროს დეკანატების მხრიდან მიზანმიმართული და დაუღალავი მუშაობაა საჭირო. იმდენი სიახლეა სასწავლო პროცესისა და სასწავლო გეგმების განხორციელების კუთხით, რომ, როგორც ლექტორებს, ასევე სტუდენტებს, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესთან ადაპტაცია მოუწევთ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოკლე ვადაში სტუდენტები შეეჩვევიან სწავლას შეცვლილ გარემოში, სადაც მათ არჩევანზე ბევრი რამ არის დამოკიდებული — უნდა განსაზღვრონ მომავალი სპეციალიზაციის პერსპექტივები, აირჩიონ საგნები. პირველკურსელმა ზუსტად, შესაძლოა, არ იცოდეს, მისთვის რომელი ვიწრო სპეციალიზაცია არის საინტერესო. მან ზოგადი საავალდებულო დისციპლინა და ზოგადი კურსი უნდა მოისმინოს სწავლების პირველი პერიოდის განმავლობაში, რაც დაეხმარება გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში.

— რამდენად არის შესაძლებელი ცვლილებები უნივერსიტეტში?

—რექტორის მოვალეობის შემსრულებელი შესანიშნავად უძღვება რეფორმის პროცესს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცენტრალური ადმინისტრაციის საბოლოო შემადგენლობა არჩევნების შემდეგ გაირკვევა.

შეკითხვა რედაქტორატს

საუნივერსიტეტო რეფორმა სტუდენტებში ბევრ შეკითხვას ბადებს. ახალი სასწავლო პროგრამები, საგნების არჩევის წესი, ტუტორების ინსტიტუტი, ახალი სამაგისტრო პროგრამები, ლექტორების არჩევის წესი, სტუდენტთა უფლებები — ეს ის თემებია, რაც ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტში მოსულ სტუდენტს აინტერესებს. მათ, ასევე, პერიოდულად სჭირდებათ ახალი ინფორმაცია განათლების რეფორმის ირგვლივ და მიმდინარე პროცესებზე. რედაქტორატის მისამართით ბევრი შეკითხვა აქვს უნივერსიტეტის თანამშრომელსაც.

გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი" ყველა დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას დროთა განმავლობაში შეეცდება იმ რესპონდენტების მეშვეობით, რომლის მიმართაც არის დასმული კითხვა.

რა შეკითხვა აქვთ სტუდენტებს რედაქტორატის მიმართ?

სტუდენტი: (გვარი არ დაასახელა)

— წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება უნივერსიტეტში. გავერკვევი და მერე დავსვამ შეკითხვებს. მითხრეს, რეგისტრაცია უნდა გაიაროო და ჯერ ამით ვარ დაკავებული.

დავით სირაძე, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

— უნივერსიტეტში, ძირითადად, ყურადღებას გავამახვილებდი სტიპენდიაზე. სწავლების ევროპული სტილი ძალიან მომწონს, წინ-წინ ნამდვილად მივდივართ, მაგრამ სტიპენდიებიც რომ გაზარდონ, კარგი იქნება. 17 ლარი ძალიან ცოტაა. ეს ფული რაიონიდან ჩამოსულებს ერთი კვირაც არ ჰყოფნით.

დავით ძირათელიძე, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

— მაინტერესებს, რატომ შემოიღეს ახალი რეგისტრაცია. დარეგისტრირებული ვარ და ჩემი აზრით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა თავიდან რეგისტრაციის გავლა. ასევე, მაინტერესებს რატომ იწყება სწავლა ასე გვიან? თავის დროზე რატომ ვერ მოახერხეს რემონტის გაკეთება?

მე სწავლამოწყურებული ადამიანი ვარ. მერე ზაფხულის არდადეგებსაც შეგვიმოკლებენ.

ლადო მაისურაძე, იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი:

— თუ დაწესდება შეღავათი უგრანტოდ ჩარიცხულ ფრიადოსან სტუდენტებზე მომავალში მაინც? — ეს არის ჩემი ძირითადი შეკითხვა.

გიორგი გაგუა, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

— სტუდენტებს, ზოგადად, გვაქვს ასეთი შეკითხვა: - უნივერსიტეტში როდის მოგვარდება სიტუაცია ისე, რომ ყველაფერი გარკვეული იყოს? სტუდენტებზეც გადმოდის გარკვეული ეიფორია. ჩვენ გვინდა მშვიდ გარემოში სწავლის გაგრძელება.

ქეთევან მორგოშია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი:

— რატომ გაუქმდა ამერიკანისტიკის სპეციალობა? თუ შეიძლება, ყურადღება მოგვაქციონ და გაგვარკვიონ. რა ხდება უნივერსიტეტში, სტუდენტებმა არ ვიცით. ჩემი სპეციალობა გაუქმებულია. თუ შეგიძლიათ ხმა მიაწვდინეთ ჩვენს რექტორს.

სტუდენტი: (გვარი არ დაასახელა)

— სპეციალობები გააუქმეს. მე ვსწავლობდი საგამომცემლო საქმეს, რაც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ისწავლებოდა. რატომ არ მოგვცეს საშუალება დაგვემთავრებინა ის, რაც ავირჩიეთ? ახლა გაუგებრობაში ვარ. სწავლას სად გავაგრძელებ — არ ვიცი. ქართულ ლიტერატურას ავირჩევ და მაინც რედაქტორი — გამომცემელი გამოვალ.

ანა ფოლადიშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი

— გვაქვს თუ არა პირველკურსელებს უფლება, უნივერსიტეტში შევქმნათ ფოლკლორული ჯგუფი (სიმღერის) და ვის უნდა მივმაროთ ამასთან დაკავშირებით?

პასუხები დასმულ შეკითხვებზე

სტუდენტთა სოციალურ დაცვაზე უნივერსიტეტი მუშაობს

სასწავლო პროცესის მართვისა და რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე **თინათინ კაკუშაძე:**

— მიმდინარე სასწავლო წელს სტიპენდიები აღარ დაინიშნება. 2005-2006 სასწავლო წლის მეორე სემესტრში (თებერვალი, მარტი, აპრილი) სახელობითი სტიპენდია შეადგენდა 75 ლარს, ჩვეულებრივი 50 ლარს და სასტიპენდიო ფონდის სიმცირის გამო, სტიპენდიები მიეცემოდა წარჩინებულ სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილს. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 ივნისის №108 ბრძანების შესაბამისად სტიპენდიების დანიშვნის წესის მოწესრიგებისა და ყველა წარჩინებული სტუდენტის თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, ვინც არ იღებდნენ სტიპენდიას, მათ სამი თვის თანხა მიეცათ სრულად. სასტიპენდიო ფონდიში დარჩენილი თანხა კი თანაბრად გადანაწილდა ყველა წარჩინებულ სტუდენტზე, რამაც ორი თვის მანძილზე შეადგინა თვეში 19 ლარი.

ამავდროულად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუშაობს სტუდენტთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომელიც უთუოდ გაითვალისწინებს მომავალში სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენას და წარჩინებულთა ამა თუ იმ ფორმით წახალისებას.

რაც შეეხება შეღავათს სწავლის საფასურის გადახდაში, უნივერსიტეტის კანონმდებლობით იგი არ არის გათვალისწინებული.

გამოუცდელობამ რეგისტრაცია რთულ პროცესად აქცია

სასწავლო პროცესის მართვისა და რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე **ჯემალ სოლოლაშვილი:**

— სტუდენტური რეგისტრაციის შემოღება განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის თანმდევი მოვლენაა. გასულ წელს, ეროვნული გამოცდების დასრულების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად ჩატარდა სტუდენტთა რეგისტრაცია, მხოლოდ პირველკურსელთათვის.

დასავლეთის უნივერსიტეტების გამოცდილებით, სტუდენტთა რეგისტრაციას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესისათვის, ვინაიდან აწესრიგებს არა მარტო აქტიურ — სწავლაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობის სიზუსტეს, არამედ სტუდენტური მომსახურების სფეროს სხვადასხვა ასპექტებსაც, საუნივერსიტეტო შემოსავლების მოზიდვას და ხარჯვების ნორმირებას. სტუდენტთა რეგისტრაცია რთული და შრომატევადი საქმეა და სათანადოდ ბევრ ხარჯსაც მოითხოვს. თუმცა შედეგები მომგებიანია უნივერსიტეტისათვის. დაგეგმილია, რომ რეგისტრაცია უნივერსიტეტში ჩატარდეს ყოველი სემესტრის დასაწყისში. სტუდენტური რეგისტრაცია შედგება ორი ეტაპისაგან — ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და აკადემიური რეგისტრაციისაგან. ადმინისტრაციული რეგისტრაცია ითვალისწინებს სტუდენტის დოკუმენტური და ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგებას, აკადემიური რეგისტრაცია კი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აწესრიგებს სტუდენტის მიერ სემესტრულად შესასწავლი საგნების და კრედიტების საკითხს. ყოველსემესტრული რეგისტრაციის დროს სტუდენტებს გამოეცვლებათ სტუდბილეთები. მათ, ვინც აქტიურ სტუდენტებად დარეგისტრირდებიან, შეეძლებათ სარგებლობა ბიბლიოთეკით, საუნივერსიტეტო ინტერნეტით და სხვა მომსახურებით.

სპეციალობების გაუქმება უნივერსიტეტის ახირება არ არის

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე **მაია ქვრივიშვილი:**

— მართალია, ჩვენს ფაკულტეტზე გაუქმდა რამდენიმე სპეციალობა, მაგრამ მათი გაუქმება არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახირება არ ყოფილა. გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ იმის გამო, რომ ეს სპეციალობები არც ერთ საერთაშორისო სტანდარტს არ ექვემდებარებოდა. იმ სტუდენტებს, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლობდნენ თარჯიმან-რეფერენტის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის სპეციალობით, უხერხულობები არ შეექმნებათ. მეოთხეკურსელები ჩვეულებრივ დაამთავრებენ და აიღებენ დიპლომს, ხოლო მესამეკურსელები აირჩევენ საგნებს, რის შემდეგ გადაჯგუფდებიან სხვა სპეციალობებზე.

ამერიკანისტიკა ნამდვილად არ გაუქმებულა. ეს არის ინტერდისციპლინური კურსი და სავარაუდოდ, სამაგისტრო კურსის სახით წაიკითხება. (ამონარიდი რექტორის, გიორგი ხუბუას საგაზეთო ინტერვიუდან).

მოგრძანდით კულტურისა და ხელოვნების ცენტრში

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი **თენგიზ ყურაშვილი:**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ყველა მიმართულების ფოლკლორული ანსამბლები. მათში გაწევრიანება შეუძლია ყველა მსურველს, ვინც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, ასე რომ, მობრძანდით კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, რომელიც მდებარეობს პირველ კორპუსში.

რა კრიტერიუმებით შეაფასებს აკადემიური საბჭო რექტორს არჩევისას

მეორე გვერდიდან

პირველკურსელები უცხო ენის კურსს მეორე სემესტრში მოისმენენ

ზურაბ დავითაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, უნივერსიტეტი ატარებს ე.წ. ორიენტაციას. სტუ-

დენტები მოდიან, ირჩევენ იმ საგნებს, რაც უნდა მოისმინონ და როდესაც სწავლა იწყება, მათ უკვე იციან, რომელ ლექციას დაესწრებიან, რომელ აუდიტორიაში და რა დროს. ამის გაკეთება წინასწარ ვერ შევძელით. სტუდენტებიც ადრე არ გამოცხადდნენ, რამაც გარკვეული პრობლემები შექმნა. ცალკე პრობლემაა აუდიტორიების დეფიციტი. ჩვენ ახლა ვიწყებთ ამ ახალ სისტემასთან ადაპტაციას. სიახლეს ვეჩვევით და, მალე, ყველაფერი მოწესრიგდება. კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ყურადღება მინდა გავამახვილო, არის ის, რომ პირველკურსელებს ვერ შევთავაზეთ უცხო ენების შესწავლა. ენების ცენტრის კონკურსი ჯერ არ ჩატარებულა. ამიტომ ამ ხარვეზებს მეორე სემესტრში გამოვასწორებთ. სტუდენტები უცხო ენის კურსს სასწავლო წლის მეორე ნახევარში გაძლიერებულ რეჟიმში მოისმენენ.

ახალი რეფორმიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორი, პრაქტიკულად, თავისუფალია ადმინისტრაციული სამსახურიდან. მას ნაკლებად ეხება მატერიალური ბაზა, ხელფასები, შტატები და ა.შ. მისი ძირითადი ფუნქციაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის წარმართვა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ რექტორი უნდა იყოს კარგი მეცნიერი, კარგი ორგანიზატორი და განათლების სფეროში დიდი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს.

იმ პერიოდში, როდესაც რეფორმა ტარდება, შეიძლება ბევრმა ღირსეულმა პიროვნებამ თავი შეიკავოს არჩევნებში მონაწილეობაზე, რადგან რექტორს ბევრი სირთულე შეხვდება. ჯერ ძალიან ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. ამიტომ ის რექტორი, რომელსაც ჩვენ ავირჩევთ, სიმამაცითა და გამბედაობითაც უნდა იყოს გამორჩეული.

პროფესიონალიზმი პოპულარობას სჯობს

გუგული მაღრაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— რომ გითხრათ, რეფორმა იდეალურად მიმდინარეობს მეთქი, არ იქნება სწორი, მაგრამ გარდამავალი ეტაპი ყოველთვის მტკივნეულია. საკმარისი გამოცდილება არ გაგვაჩნია. რეფორმის გატარების პროცესშიც არ არის სრული დამოუკიდებლობა — ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

რას ვგულისხმობ ამაში? ვთქვათ, შედგა კომისია. მისი წევრები ბევრს არ მოსწონს. ამის გამო იწყება ზეწოლა... საქართველოში კლიშეების თემა ჯერ კიდევ აქტუალურია. ამ კომისიაში თუ ისეთი გვარ-სახელის ადამიანი მოხვდა, რომელსაც ფართო საზოგადოება არ იცნობს, ოპონენტები მთელ აგრესიას მისკენ მიმართავენ ხოლმე. იმედი მაქვს, მივეჩვევით, რომ პიროვნება მხოლოდ პოპულარობის გამო კი არ დაფასდეს, არამედ საკუთარი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით. აკადემიურ საბჭოს საკმაოდ კვალიფიციური წევრები ჰყავს. ამას მუშაობის პროცესში დავადასტურებთ. რამდენიმე დღის წინ ჩვენ გვქონდა ბიბლიოთეკის დირექტორის კანდიდატების

განხილვა. არავითარი ზეწოლა რომელიმე კანდიდატურის სასარგებლოდ არც ერთ წევრს არ გვიგრძვნია. ამას კანდიდატები თავადაც გრძნობდნენ, ამიტომ უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ასარჩევია ხარისხის მართვის სამსახურის უფროსიც. ამ შემთხვევაშიც საბჭოს წევრები აბსოლუტურად მიუკერძოებლები იქნებიან. აკადემიურ საბჭოს ისეთი შემადგენლობა ჰყავს, რომ მასზე ზეწოლა წარმოუდგენელია.

რექტორის არჩევაზე კი მოგახსენებთ, რომ კანდიდატთა შორის თუ დავინახავ ისეთ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია საქმის კეთება, ყოველთვის დავუდგები გვერდით. გიორგი ხუბუას თავზე იმდენმა რამემ გადაიარა, მას თუ რექტორობის სურვილი ექნება, ვფიქრობ, გამარჯვების შანსიც მაღალი აქვს. ვნახოთ, ვინ იქნება მისი კონკურენტი, ვინ რა პროგრამას შემოგვთავაზებს... არჩევანიც ამის შემდეგ გაკეთდება.

უნივერსიტეტში ახალგაზრდები მოვიდნენ

ფრიდონ თოდუა, მედიცინის ფაკულტეტი:

— საუნივერსიტეტო რეფორმის პროცესში განახლდა პედაგოგთა შემადგენლობა და მოვიდნენ ახალგაზრდა, ენერგიული კადრები, რითაც ძა-

ლიან კმაყოფილი ვარ.

ჩემი აზრით, რექტორი უნდა იყოს განათლებული და პატიოსანი ადამიანი, რომელმაც იცის საუნივერსიტეტო ცხოვრების დეტალები, უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტის რეფორმების მწყობრი კონცეფცია, უნარი და ენერგია მათ განსახორციელებლად.

უნივერსიტეტში სამედიცინო ცენტრის შექმნა აუცილებელია

მერაბ კილაძე, მედიცინის ფაკულტეტი:

— ამერიკასა და ევროპაში საუნივერსიტეტო განათლების ნაწილი ყოველთვის იყო სამედიცინო განათლება. თბილისის უნივერსიტეტის გახსნის პირველ წლებში დაარსდა მედიცინის ფაკულტეტი. ამდენად, მოხარული ვარ, რომ აღსდგა ისტორიული ტრადიცია და დღეს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედიცინის ფაკულტეტი.

საქართველოში ნებისმიერ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემა დგას. განსაკუთრებით კი მედიცინის დარგში. აუცილებელია უნივერსიტეტში შეიქმნას სამედიცინო ცენტრი, ანუ სასწავლო-საბაზო დაწესებულება, რომელიც იქნება თანამედროვე მულტიპროფილური დაწესებულება, უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით აღჭურვილი, ასევე, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული. აქ უნდა განხორციელდეს სამი ძირითადი პრინციპი — პრაქტიკა, განათლება, მეცნიერება.

იმისათვის, რომ მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტები, აუცილებლად უნდა შეიცვალოს სასწავლო

პროგრამა. სტუდენტთა მობილურობისათვის თითო ჯგუფში 10 სტუდენტზე მეტი არ უნდა იყოს. სასურველია, ისინი ესწრებოდნენ ისეთ პროცესებს, როგორიცაა პაციენტის მიღება, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, ოპერაციის შემდგომ პაციენტის მოვლა, რეანიმაციაში მუშაობა. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ თეორიულ კონფერენციებში, კოლოკვიუმებში. ვფიქრობ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადავიდნენ ისინი კლინიკებში რეზიდენტის სტატუსით.

რაც შეეხება რექტორის არჩევას, მიმაჩნია, რომ ისეთი ტრადიციული უნივერსიტეტის, როგორიცაა ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, უნდა იყოს საზოგადოებისათვის ცნობილი სახე და ავტორიტეტული პიროვნება, პროგრესულად მოაზროვნე. გავეცნობი კანდიდატების ბიოგრაფიას, სამუშაო გეგმას, მათ საუნივერსიტეტო სტრატეგიას, გამოქვეყნებულ შრომებს და არჩევანს საუკეთესო კანდიდატზე შევაჩერებ.

მთავარი პრობლემა — სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების „გადაიარაღება“

ალექსანდრე შენგელია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— საუნივერსიტეტო რეფორმის მი-

ზანია, უნივერსიტეტი იყოს არა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლა, არამედ იგი გახდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების ფუნქციონირებას ეხება. სამეცნიერო კვლევითი პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის საჭიროა მათი „გადაიარაღება“. მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა აქვს არა მარტო ფიზიკის მიმართულებას, არამედ მთელ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, ვინაიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არ არსებობს ცდის, დაკვირვებისა და ექსპერიმენტების გარეშე.

რექტორის არჩევის თემაზე ასე გიპასუხებდით: — უპირველეს ყოვლისა, რექტორს უნდა უყვარდეს უნივერსიტეტი — ეს აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა საკმარისი. რექტორი უნდა იყოს პროფესიონალი, უნდა გრძნობდეს უნივერსიტეტის მაჯისცემას, უნდა შეეძლოს ურთიერთობა და დიალოგი უნივერსიტეტის თანამშრომლებთან იმ პრობლემებზე, რომელიც აუცილებლად წარმოიშვება კარდინალური რეფორმის პერიოდში.

არჩევანი უნდა გაკეთდეს

ელიზბარ ნადარაია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— აკადემიური საბჭო ფუნქციონირებს რეგლამენტის მიხედვით. ალბათ,

უახლოეს დროში განხილული იქნება უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტი. ვაპირებ მასში გარკვეული შესწორებების შეტანას.

რექტორის არჩევნები რომ არჩევნებად ჩავთვალოთ, საჭიროა, არჩევანი არსებობდეს და რადგანაც ჩვენს უნივერსიტეტში წარმოდგენილია მეცნიერების ყველა ფუნდამენტური დარგი, საჭიროა, არჩევნებში მინიმუმ ორი კანდიდატურა მონაწილეობდეს. ჩემი აზრით, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ხუბუა ერთერთი გამორჩეული კანდიდატი იქნება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენების სწავლების ცენტრი შეიქმნება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანებით, ენების სწავლების გაერთიანებული ცენტრი შეიქმნება.

ცენტრს უხელმძღვანელებს დირექტორი, ორი თანაშემწე და რესურს ცენტრის ხელმძღვანელი.

ენების გაერთიანებულ ცენტრში 135 მასწავლებელი იზრუნებს ინგლისური, გერმანული, რუსული, რომანული (ფრანგული, ესპანური, იტალიური, პორტუგალიური), სკანდინავური (ნორვეგიული, შვედური), ქართველური (ქართული, მეგრული, სვანური, ლაზური), კავკასიური, ოსური, ახალი ბერძნული, კლასიკური, აღმოსავლური ენების: თურქული, არაბული, სპარსული, ებრაული, იაპონური, ჩინური ენების შესწავლაზე.

თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა 2006 წლის 17 ოქტომბერს. დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 17 ნოემბერი. საბუთების მიღება მიმდინარეობს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატში.

კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება 2006 წლის 18 დეკემბერს. აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ თანამდებობებზე ინიშნებიან 2 წლის ვადით.

უნივერსიტეტის პროგრამისტები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრას გეგმავენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი პროგრამისტები მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ტურებისთვის ემზადებიან. ამ ეტაპზე მათი მიზანია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრა, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე ტოკიოში გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე უნივერსიტეტის გუნდებს დიდი ბრძოლა ელის — 5 ნოემბერს თბილისსა და ბათუმში დაგეგმილია მეოთხედფინალი, რომელშიც თსუ-ს ახალგაზრდა პროგრამისტების გარდა, საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების გუნდებიც მიიღებენ მონაწილეობას. მეოთხედფინალში გამარჯვებულები ერთმანეთს 27-29 ნოემბერს შეეჯიბრებიან ნახევარფინალში, რომელიც ერთდროულად უნდა ჩატარდეს სანქტ-პეტერბურგში, ტაშკენტში, ბარნაულსა და ბათუმში.

უნივერსიტეტის გუნდები პროგრამისტთა მსოფლიო ჩემპიონატებში 1998 წლიდან მონაწილეობენ და სამხრეთ კავკასიის ნახევარფინალურ რაუნდებში პირველობას არავის უთმობენ. თსუ-ის პროგრამისტთა ნაკრები გუნდების მწვრთნელი თემურ ზარქუა აცხადებს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები კარგ ფორმაში არიან და დიდი შანსია, წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც მოხვდნენ. ამას ადასტურებს ის წარმატებები, რასაც ბოლო თვეებში სტაბილურად აღწევენ თსუ-ს სტუდენტები: მესამე ადგილი მოსკოვის ღია გუნდურ ჩემპიონატზე, ბრინჯაოს მედლები სრულიად უკრაინის ღია გუნდურ ოლიმპიადაზე, მაღალი ადგილები ინტერნეტით გამართულ მთელ რიგ შეჯიბრებებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ს პროგრამისტთა ნაკრების წევრის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის, ნიკა ჯიმშელეიშვილის წარმატება. რამდენიმე დღის წინ იგი ახალგაზრდა პროგრამისტთა ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო პირადი შეჯიბრების (**TopCoder Collegiate Challenge 2006**) ფინალში გავიდა. მსგავსი წარმატებისათვის ქართველ პროგრამისტებს აქამდე არ მიუღწევიათ. ეს ასპარეზობა მსოფლიოს არაოფიციალურ პირად ჩემპიონატად არის აღიარებული. ფინალი 14-18 ნოემბერს სან დიეგოში გაიმართება.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

რუსეთის იმპერია იშლება

თვლიან კულტუროლოგები

პირველი გვერდიდან

ამ თემაზე ღია დისკუსიაში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა ივანე წერეთელმა, ასპირანტმა მალხაზ თორიამ, მაგისტრანტებმა დავით მაცაბერიძემ და ირაკლი ჩხაიძემ მიიღეს მონაწილეობა.

ივანე წერეთელი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი:

— რუსეთში საზოგადოება ვითარდება ორი პარალელური ხაზით, რომელიც ერთმანეთს არ ჰკვეთს — ეს აზრი, დიდი ხანია, არსებობს. ამის გამო რუსეთს გახლეჩილ ქვეყანასაც ეძახიან. მას კულტურის სფეროში ყველა მიმართულებით — ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, მუსიკაში საუკეთესო წარმომადგენლები ჰყავს, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს არა მარტო რუსეთზე, არამედ ევროპაზეც და მთელ მსოფლიოზეც. სამწუხაროდ, პოლიტიკურ გეზზე ეს ზეგავლენას ვერ ახდენს, რაც ძალიან ცუდია.

ირაკლი ჩხაიძე, კულტურის მეცნიერებები, მაგისტრანტი:

— მოსაბეზრებელია იმაზე საუბარი, რომ ორი რუსეთი არსებობს, მაგრამ ეს არის სამწუხარო რეალობა. ჩემი აზრით, არსებობს იმის შანსი, რომ რუსეთი შეიცვალოს და, ალბათ, შეიცვლება კიდეც. არ შეიძლება ეს გაგრძელდეს ძალიან დიდხანს — ასე ფიქრობენ მთელ მსოფლიოში. არსებული ვითარება კონკრეტული ადამიანების ბედზე ძალიან ცუდად აისახება. კანონზომიერი დასასრული უნდა იყოს ის, რომ რუსული პოლიტიკა, ის იმპერიალისტური მოსაზრებები, ნეოფაშისტური განწყობა უნდა შეიცვალოს.

რუსული იმპერიის არსებობის მანძილზე ცალკეა რუსეთის კულტურა, როგორც სხვა მიმართულება, რომელიც ქმნის ღირებულ პროდუქტს და არის პოლიტიკური რუსეთი, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია კულტურული რუსეთისგან. მე მსურს, რომ ამის ლოგიკური დასასრული რუსული პოლიტიკის გარდაქმნა და შეცვლა იყოს.

მალხაზ თორია, კულტურის მეცნიერებები, ასპირანტი:

— რუსეთი ზოგადსაკაცობრიო იდეების აკვანია, რაზეც რუსული ლიტერატურა მეტყველებს. დოსტოევსკიმ საფუძველი დაუდო ევროპულ ეგზისტენციალურ მიმდინარეობას, მაგრამ ლიტერატურაშიც არის გაორების მაგალითი. მისი პერსონაჟი შეიძლება იყოს ძალიან კეთილი და, ამავე დროს, საშინლად დამნაშავე. ამაშიც ვლინდება რუსული ხასიათი. ერთმანეთს კულტურა და პოლიტიკა რომ შევადაროთ, ვნახავთ, რომ რუსეთში კულტურა დამოუკიდებელი სფეროა. პოლიტიკურ ვერტიკალს თუ გავყვებით: მეფე, მთავარი, დიქტატორი, ახლა უკვე პრეზიდენტი, პრინციპში, ფუნქციურად ისინი ერთმანეთისგან არასოდეს არ განსხვავდებიან. ეს ვერტიკალი ძალიან მკაცრად კონტროლირდება.

თუნდაც ახლა, ცნობილი რუსი ჟურნალისტის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, გავრცელდა აზრი, რომ ასეთი რამდენიმე ჟურნალისტი რომ ყოფილიყო რუსეთში, მას ვერ მოკლავდნენ. ის ერთი იყო, ზოგადად, შეზღუდული გარემოს წინაშე. თავისუფლების ყველანაირი გამოვლინება იქ მკაცრად ისჯება. ჩვენ სანამ ველოდებით, რომ ორი რუსეთი ერთი რუსეთი გახდება, მანამ მთელი თაობები იცვლება და რუსეთი იგივე რჩება.

მე სამწუხარო რეალობად მივიჩნევ იმას, რომ რუსეთი ჩვენი სანდო პარტნიორი არ იქნება. ის, რომ ბუბა კიკაბიძეზე ტაშს უკრავენ, ნანი ბრეგვაძეს ოვაციით ხვდებიან, ეს, სამწუხაროდ, ჩვენ ურთიერთობებზე და ჩვენს პრობლემებზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. თუმცა ისინიც კი გამოუშვეს იქიდან.

დავით მაცაბერიძე, კულტურის მეცნიერებები, მაგისტრანტი:

— წლების მანძილზე ქართველები რუსულ კულტურულ სივცეში სხვადასხვა სფეროში ძალიან წარმატებულად მოღვაწეობდნენ. **დღეს ჩვენ რასთან გვაქვს საქმე? პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ გავლენა რუსული კულტურის რაღაც ნაწილზეც მოახდინა**, ანუ აქტიურად, „უხეშად ჩაერია“ კულტურულ ცხოვრებაში და გარკვეული სეგმენტი მოაშორა რუსულ კულტურას.

ირაკლი ჩხაიძე, კულტურის მეცნიერებები, მაგისტრანტი:

— რუსეთის საზოგადოების დიდი ნაწილი, ალბათ, ეთანხმება რუსეთის დღევანდელ პოლიტიკას. უმეტესობა მხარს რომ არ უჭერდეს, ვფიქრობ, სხვაგვარად განვითარდებოდა მოვლენები.

ივანე წერეთელი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი:

— მენტალურად, ჩვენ ერთ ადგილზე მიკერებული ხალხი ვართ. ჩემი აზრით, ქართველები რომც არ გამოუშვან რუსეთიდან, მაინც ყველა წამოვა. თუმცა არ არის აუცილებელი, შენი კულტურის წარმომადგენელი აუცილებლად შენთან იყოს. საქართველოში ჩამოსვლით შეიძლება დაიკარგონ, კარიერა ვერ გაიკეთონ. რაც უფრო დიდია სივრცე, მით უფრო ადვილია პროდუქტის გაყიდვაც, მით უფრო მეტია მომხმარებელი. ერთ რამეზე მინდა ყურადღების გამახვილება. როცა ვსაუბრობთ რუსეთზე — წარმოდგენაში ვსაუბრობთ მოსკოვზე. როგორც ცასა და დედამიწას შორის, ისეთი განსხვავებაა მოსკოვსა და დანარჩენ რუსეთს შორის. სახლებში იაპონური ტელევიზორები უდგათ, მაგრამ დენი არ აქვთ და ინფორმაციულ ვაკუუმში არიან. **მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საკმაოდ საინტერესო პერიოდში. დღეს ხდება ამ იმპერიის დაშლა, ანუ რუკა იცვლება, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება ხდება. ყველა დიდმა იმპერიამ კუდის მოქნევა იცის და მთავარია, ამ კუდის მოქნევას არ გადაყვეთ. საფუძველი რუსეთის იმპერიის დაშლისა, ჩვენ აღმოვჩდით. ჩვენ ამ მოვლენების ცენტრში ვდგავართ.** ან ჩვენით იწყება, მოყოლებული 9 მარტიდან, 9 აპრილიდან, ან სადღაც იწყება და ჩვენთან მთავრდება.

დავით მაცაბერიძე, კულტურის მეცნიერებები, მაგისტრანტი:

— ვთვლი, რომ ის ხისტი პოლიტიკა, რასაც დღეს საკაშვილის ხელისუფლება ატარებს, გამართლებულია. სხვანაირ პოლიტიკას აზრი არ ექნება. რუსეთს კიდევ ერთხელ გაუცრუვდება იმედი, რადგან ქართველი ხალხი მზად არის, ცოტაც გაიჭირვოს, რათა საქართველომ თანასწორუფლებიანობა, ბოლოს და ბოლოს, დაუმტკიცოს რუსეთს. **ჩვენი მეზობელი, რაც არ უნდა ცუდად მოეცეს იქ მცხოვრებ ქართველებს, მათ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მაინც ვერ განაწყობს, რადგან რუსეთისადმი დამოკიდებულებაში, დღეს, თითქმის ყველა ქართველი ერთიანია.**

მოკლედ

განათლებისა და დასაქმების ფორუმი

ეს თქვენი დასაქმების რეალური შანსია

20, 21 და 22 ოქტომბერს თსუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა რიგით მეორე „განათლებისა და დასაქმების ფორუმი 2006“. საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრ „კავკასია“-ს ორგანიზატორობით იქმნება დასაქმების მსურველი ახალგაზრდების მონაცემთა ბაზა, რომლითაც ისარგებლებენ დაინტერესებული კომპანიების მენეჯერები.

20 ოქტომბერს მოეწყო განათლების ფორუმი, სადაც სტუდენტები და სწავლის გაგრძელების მსურველები შეხვდნენ საერთაშორისო თუ ადგილობრივი საგანმანათლებლო და სატრეინინგო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გაეცვნენ მათ მიერ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

21 ოქტომბერს მოეწყო დასაქმების ფორუმი. მოწვეული ბიზნეს კომპანიები შეხვდნენ დასაქმების მსურველ სტუდენტებს. სტუდენტები გაეცნენ კომპანიების დასაქმების კრიტერიუმებს და ვაკანსიებს. მათ საშუალება ჰქონდათ, გაევლოთ რეგისტრაცია 2006-2007 წლის კავკასიის ბიზნესის და კვალიფიკაციის ამაღლების ტრეინინგებში მონაწილეობის მისაღებად, რათა მომავალში შეძლონ დასაქმების კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

22 ოქტომბერს გაიმართა სტუდენტური საკონსულტაციო პროექტების პრეზენტაცია.

კავკასიოლოგია – ერთერთი ყველაზე პერსპექტიული სპეციალობა

ახალი სასწავლო წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ, დაეუფლონ კიდევ ერთ ახალ სპეციალობას — კავკასიოლოგიას სწავლების სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები უკვე ისმენენ კავკასიოლოგიის შესავალ სალექციო კურსს და დიდ ინტერესს ამჟღავნებენ კავკასიის ხალხთა წარსულისა და თანამედროვე პრობლემებისადმი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სხვა სასწავლო-კვლევით დაწესებულებებში კავკასიური ენებისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. თუმცა, კავკასიოლოგია, როგორც ჰუმანიტარული ცოდნის კომპლექსური დარგი, ერთიანი სასწავლო პროგრამის სახით აქამდე არ არსებობდა. მართალია, კავკასიურ თემატიკას იკვლევდნენ ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, მაგრამ ეს იყო ნაკლებად კოორდინირებული პროცესი. კავკასიოლოგია უმთავრესად „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასთან“ იგივდებოდა, რაც არასრულად ასახავდა ამ დარგის თეორიულ საფუძვლებსა და პოტენციალს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში კავკასიოლოგიას პრიორიტეტული როლი აქვს მინიჭებული. კავკასიოლოგიური თემატიკის სწავლება და სამეცნიერო კვლევა დაკავშირებული იქნება კავკასიაში მოსახლე ყველა ხალხთან და კულტურასთან, ზოგადად ამ რეგიონულ კონტექსტთან. დასავლური სამეცნიერო ტრადიციებიც, პირველ რიგში, რეგიონული კვლევის მოქნილ, ინტერდისციპლინურ მიდგომას გულისხმობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია კავკასიის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური პროცესების, ფარული თუ ღია კონფლიქტების, რეგიონის ინტეგრაციული და დეზინტეგრაციული პროცესების, სამოქალაქო ინტეგრაციის, კულტურათშორისი ურთიერთობებისა და სხვა საკითხების კვლევა, გაანალიზება და სტუდენტებისათვის ადეკვატური ხედვის ჩამოყალიბება. ეს აუცილებლობა ორი ძირითადი მიზეზით არის გამოწვეული:

1. საქართველო თავად წარმოადგენს ამ რეგიონში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთ ეპიცენტრს;

2. კავკასიური პრობლემატიკა სცილდება მხოლოდ თეორიული კვლევის ფარგლებს და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ავტორებს მიაჩნიათ, რომ უცხოური უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ცენტრებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიმზიდველი პარტნიორი შეიძლება იყოს სწორედ როგორც კავკასიური კვლევების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი. უცხოენოვანი კურსების მომზადების შემთხვევაში, საერთაშორისო დაინტერესება უსათუოდ დიდი იქნება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვე გამოეხმაურნენ ჩრდილოკავკასიის, კერძოდ — ნალჩიკისა და მაიკოპის უნივერსიტეტები, რომლებიც მზად არიან, თავიანთი სტუდენტებისათვის კავკასიოლოგიის შესასწავლად განახორციელონ გაცვლითი სასწავლო პროგრამები

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ინფორმაცია მათთვის, ვისაც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება უნდა

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე მუშაობს

მაია ტორაძე

პირველი გვერდიდან

„ბოლონიის პროცესის“ ერთერთი მთავარი პუნქტია მობილობა, რომლის მიხედვითაც სტუდენტს შეუძლია საზღვარგარეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გაიაროს სწავლის გარკვეული ეტაპი. თუ წარსულს გადავავლებთ თვალს, დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 60-მდე ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან ჰქონია ურთიერთობა. მათ შორის დადებულ ხელშეკრულებათა უმრავლესობა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა გაცვლას გულისხმობდა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, ხელშეკრულების ეს პუნქტები არ სრულდებოდა. დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაცვლითი პროგრამები აკავშირებს ბალტიისპირეთის ქვეყნების, თურქეთის, იტალიის, გერმანიის სასწავლო დაწესებულებებთან.

ბალტიის ქვეყნებთან ხელშეკრულებები 2005 წელს გაფორმდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობენ ტარტუს უნივერსიტეტი, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვილნიუსის მიკოლას რომერისის სახელობის უნივერსიტეტი, ტალინის უნივერსიტეტი და რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელშეკრულებების საფუძველზე ხდება პარიტეტულ საწყისებზე სტუდენტთა ორმხრივი გაცვლა, სხვა და სხვა ერთობლივ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და გამოცდილების გაზიარების მიზნით ადმინისტრაციული ჯგუფების მივლინებები.

გასული სასწავლო წლის ერთი სემესტრი ტარტუში გაატარა ერთმა ქართველმა სტუდენტმა, ამჯერად კი პროგრამა სრულად ხორციელდება.

თეა გერგედავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი:

— ბოლონიის პროცესის ერთერთი მნიშვნელოვანი პუნქტია სტუდენტის მობილობა, რაც გულისხმობს მინიმუმ ერთი სემესტრის საზღვარგარეთ გატარებას. ჩვენი სტუდენტები სწორედ ამ პუნქტს ასრულებენ და საბაკალავრო პროგრამის ერთ სემესტრს გადიან უცხოეთში.

წელს, 10 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონკურსი, რომელმაც ვილნიუსისა და ტარტუს უნივერსიტეტების აპლიკანტები შეარჩია. ტარტუს უნივერსიტეტში სასწავლო სემესტრს გადიან ანა ციმინტია, მიხეილ სვანიძე, ესმა ბერეკიშვილი (სოციოლოგიის მიმართულება, III კურსი), სანდრო ნიკოლაიშვილი (ისტორიის მიმართულება, III კურსი), ნინო ნებიერიძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, III კურსი), ლელა რეხვიაშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი, III კურსი); ხოლო ვილნიუსის უნივერსიტეტში — სალომე ბენიძე (ჟურნალისტიკის მიმართულება, III კურსი) და ანა ქვრივიშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი, II კურსი). ყველა მათგანმა I სემესტრში მოისურვა წასვლა და ახლა იქ არიან. მე თითქმის ყოველდღიური მიმოწერა მაქვს მათთან და ვიცი, რომ სასწავლო პროცესით ძალიან კმაყოფილნი არიან. მათ ერთი სემესტრის განმავლობაში 18 კრედიტი უნდა დააგროვონ, თუმცა, როგორც მატყობინებენ, დაახლოებით 24 კრედიტის დაგროვების შანსი აქვთ და ძალიან ცდილობენ, ეს შეასრულონ.

რაც შეეხება საპასუხო გაცვლას, ჯერჯერობით ჩამოსულია ტარტუს უნივერსიტეტის ორი სტუდენტი. გაზაფხულზე ველოდებით კიდევ ოთხ სტუდენტს ტარტუდან და 2 სტუდენტს ვილნიუსიდან.

უცხოელი სტუდენტებისთვის საბაკალავრო ინგლისურენოვანი კურსები ჯერ არ გვაქვს

აღსანიშნავია, რომ ქართველი სტუდენტები თავისი სპეციალობით აგრძელებენ სწავლას, რაც იმან განაპირობა, რომ ბალტიისპირეთის სასწავლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებული კურსების უმრავლესობას ინგლისურენოვანი ვარიანტიც აქვს. ეს უნივერსიტეტები მონაწილეობენ ERASMUS პროგრამაში, რაც ასევე გულისხმობს ერთსემესტრიან მობილობას, რისთვისაც აუცილებელია ინგლისურენოვანი კურსების არსებობა. ამიტომაც ქართველი სტუდენტებისთვის ადვილი იყო აერჩიათ ის მიმართულება, რაც თავად სურდათ. დღესდღეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერ-ჯერობით არ აქვს ინგლისურენოვანი საბაკალავრო კურსები, თუმცა რაღაც ძვრები ამ კუთხითაც შეიმჩნევა.

თეა გერგედავა:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საინტერესოა ბევრი უცხოელი სტუდენტისათვის, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ არ გვაქვს საბაკალავრო ინგლისურენოვანი კურსები, რამდენიმე საგნის გარდა, ძნელია მათი მთელი სემესტრით მოზიდვა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, **გაცვლითი პროგრამით ჩამოსულებს შევთავაზოთ ან ინგლისურენოვანი მაგისტრატურა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი გერმანულენოვანი კურსები.**

პროფესორი შროდერი სტუდენტებისთვის შესარჩევ კონკურსს ჩაატარებს

გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ვენეციის კა ფოსკარისა და რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტებთან, მაგრამ ეს ხელშეკრულებები ცოტა სხვაგვარ ურთიერთობებს ითვალისწინებს. მაგალითად, ვენეციის უნივერსიტეტიდან ყოველწლიურად ჩამოდის იტალიელი ქართველოლოგი პაოლო ბიაჯი და კითხულობს ინტენსიურ კურსს ქართველოლოგიაში. ის თავად არჩევს და იწვევს სტუდენტებს ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან. შარშან ასეთი პროგრამით იმყოფებოდა იტალიაში 2 ქართველი სტუდენტი, თუმცა ისინი არ იყვნენ ინსტიტუციონალური კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატები, რადგან პროფესორმა ბიაჯიმ თავად შეარჩია.

რაც შეეხება რომის უნივერსიტეტს, მათ პირდაპირი კავშირი აქვთ ილია ვეკუას სახელობის მათემატიკის ინსტიტუტთან და ერთობლივად მონაწილეობენ სხვა და სხვა სამეცნიერო პროგრამაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის სასწავლო დაწესებულებებთან. ურთიერთობა აქვს იენის, გისენის და ზაარლანდის უნივერსიტეტებთან, იწყება მოლაპარაკებები მერზებურგის უნივერსიტეტთანაც.

თეა გერგედავა

თეა გერგედავა:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გერმანულ უნივერსიტეტებთან ტრადიციული ურთიერთობები აქვს. ამ ურთიერთობებისა და კონკურსის საფუძველზე იენის უნივერსიტეტში მივლინებული იქნება 2 იურისტი, გისენში — 1 ეკონომისტი. რაც შეეხება ზაარლანდის უნივერსიტეტს, ამ უნივერსიტეტიდან ყოველწლიურად ჩამოდიოდა გერმანელი პროფესორი შნაიდერი, რომელიც თავად ატარებდა შესარჩევ კონკურსებს და 10 ქართველი სტუდენტი მიჰყავდა გერმანიაში. ამჯერად შნაიდერი პენსიაშია, მაგრამ წელს, დეკემბერში, დახმარების მიზნით მაინც ჩამოვა პროფესორ შროდერთან ერთად, რომელიც შესარჩევ კონკურსს ჩაატარებს.

ვიზიტი უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია

16 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით ეწვია თურქეთის ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პრორექტორი, პროფესორი ნურან ოზიერი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი სარპ სარაჩი, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ორჰან მორგილი და სოციალური და სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ჯიჰათ ოზონდერი.

თურქმა სტუმრებმა შეხვედრები გამართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან, პროფესორ გიორგი ხუბუასთან, ჰუმანიტარული და მედიცინის ფაკულტეტების დეკანებთან, ჯავახეთისა და მესხეთის ფილიალების ხელმძღვანელებთან.

თურქული მხარე ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტს შორის სერიოზული ურთიერთობები იწყება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთობა თურქული და ევროპული სტანდარტებით ერთერთ წამყვან ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტთან. იგი სამედიცინო პროფილისაა, თუმცა აქვს სხვა მიმართულებებიც. მისი წლიური ბიუჯეტი 300 მილიონი დოლარია და 80-მდე ჰოსპიტალს ფლობს.

თეა გერგედავა:

— ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტს აქვს სოციალური და სტრატეგიული კვლევების ფონდი, რომელიც თბილისში დაახლოებით ერთი წლის წინ დაარსდა. ამავე პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიხსნა ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტთან მეგობრობის ცენტრი. იგი დაინტერესებულ სტუდენტს სთავაზობს თურქული ენისა და TOEFEL -ის კურსებს.

ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამების დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ეტაპზე საუბარია ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის კლინიკებში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების გაცვლასა და მივლინებაზე, თუმცა ეს ჯერ პროექტია და იმედი გვაქვს ოფიციალურ შეთანხმებასაც მივაღწევთ.

ნურან ოზიერი, ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის პრორექტორი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების ჩარჩოების უკეთ გასაცნობად რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გიორგი ხუბუა იმყოფებოდა ჩვენს უნივერსიტეტში. ჩვენი საპასუხო ვიზიტიც ამას ისახავს მიზნად — განვსაზღვროთ ხელშეკრულების კონკრეტული დეტალები მომავალი თანამშრომლობისათვის.

ხელშეკრულება ითვალისწინებს როგორც სტუდენტთა, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას. ამას გარდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია **ERASMUS** -ის პროგრამაშიც და ვიმედოვნებ, სტუდენტთა გაცვლას ამ პროგრამის ფარგლებშიც მოვახერხებთ.

სარპ სარაჩი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— ამ ვიზიტის ფარგლებში ჩვენ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გვქონდა. მათ შორის იყო შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან.

ქართულ მხარეს აინტერესებს სწავლების ახალი ფორმები და ჩვენი გამოცდილება კლინიკის მართვის სისტემაში. გავცვალეთ ინფორმაცია და დავგეგმეთ, რომ ნოემბერში მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე ჩამოვა ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტში.

პროფესორი ორჰან მორგილი, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი:

— სამუშაო შეხვედრისას ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანს გადავეცით ჩვენი სასწავლო პროგრამები და კრედიტსაათების სისტემა, რომლითაც მუშაობს ჩვენი ფაკულტეტი. დაიგეგმა, რომ გაისად, ივნისში ჩატარდება ერთობლივი სემინარი, რომელზეც საუბარი იქნება გლობალიზაციის პერიოდში ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე. გარდა ამისა, დავგეგმეთ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლაც. დაზუსტებით ამაზე ალბათ სემინარის შემდეგ შეგვეძლება საუბარი, მაგრამ დასაწყისისთვის, ვფიქრობთ, მივიღოთ რამდენიმე ახალგაზრდა. ისინი ჩვენთან გაივლიან სადოქტორო ან სამაგისტრო პროგრამას. ასევე, ვგეგმავთ, პროფესორ-მასწავლებლების მიღებასაც და სწორედ სემინარზე გაირკვევა, რომელ დისციპლინებში სჭირდებათ მათ დახმარება.

ასევე მოვილაპარაკეთ, რომ მაგისტრანტებს, რომლებიც მუშაობენ თურქეთისა და საქართველოს ერთობლივ ეკონომიკურ პრობლემატიკაზე, კონსულტაციებს გაუწევენ თურქი და ქართველი მეცნიერები.

ქალბატონმა ნურან ოზიერმა აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თვალშისაცემია სწრაფვა რეფორმირებული, ევროპული ტიპის სასწავლებლის შექმნისაკენ და წარმატებები უსურვა ქართული უნივერსიტეტის რეფორმატორთა გუნდს.

„ხალხი აქ უფრო გახსნილი, ყურადღებიანი და მეგობრულია“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტარტუს უნივერსიტეტის ორ სტუდენტს მასპინძლობს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი) 2 სტუდენტს მასპინძლობს. მაარიუს უტსო და გეორგ ბრინკმანი თბილისში 27 სექტემბერს ჩამოვიდნენ. ისინი აქ გაცვლითი პროგრამით იმყოფებიან და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადიან ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ერთ სემესტერს. მათი ინტერესის სფეროა სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაცია.

პირველი ლექციები უკვე ჩაუტარდათ. სწავლის დაწყებამდე კი მთელი კვირა გაატარეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკაში და, როგორც საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა გვითხრეს, ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ იქ არსებული რესურსებით.

გეორგ ბრინკმანი და მაარიუს უტსო

მაარიუსმა და გეორგმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი სასწავლო კურსის არსებობის შესახებ ტარტუს უნივერსიტეტის ვებგვერდიდან შეიტყვეს და რადგან ორივეს აინტერესებდა სამხრეთ კავკასია და იქ მიმდინარე პროცესები, გადაწყვიტეს, აქ გაეტარებინათ ერთი სემესტრი.

მაარიუს უტსო:

— ტარტუს უნივერსიტეტში სწავლის დასრულებამდე მინდოდა გარკვეული პერიოდი საზღვარგარეთ მესწავლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი სასწავლო კურსის შესახებ ვებ-გვერდიდან შევიტყვე და რადგანაც სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაცია ჩემთვის საინტერესო თემაა, სურვილი გამიჩნდა სწორედ აქ გამეგრძელებინა სწავლა. საქართველო ახლა 90-იანი წლების ლიტვასა და ესტონეთს ჰგავს, რადგან მსგავს პოლიტიკურ პროცესებს გადის, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია...

გეორგ ბრინკმანი:

— მე კულტუროლოგიას ვსწავლობ და ჩემი უმთავრესი მიზანია, გავეცნო სხვა და სხვა ხალხის კულტურას, შეხედულებებს, ენებს. ამ კუთხით სამხრეთ კავკასია და საქართველო ჩემთვის საინტერესოა.

მაარიუსი და გეორგი ქართული ენითა და კულტურითაც დაინტერესდნენ. მათ აქ ჩამოსვლამდე იცოდნენ, რომ ელით ულამაზესი მხარე თავისი თვითმყოფადი კულტურითა და ისტორიით. ქართულმა მხარემ მათ საინტერესო კულტურული პროგრამა დაახვედრა. ჯერჯერობით ძველი თბილისი გაიცნეს და პირაქეთა ხევსურეთი დაათვალიერეს, რითაც აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

„საქართველო მართლაც განსხვავდება ევროპული ქვეყნებისაგან, ხალხი აქ უფრო გახსნილი, ყურადღებიანი და მეგობრულია“, — განაცხადეს მაარიუსმა და გეორგმა ჩვენთან საუბარში.

სასწავლო პროცესი ახალი დაწყებულია. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში დარწმუნებულნი არიან, რომ ტარტუელი სტუდენტებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სამაგისტრო პროგრამა საინტერესო და დატვირთული იქნება.

„ისე დავიცავით ჩვენი ქვეყნები და რევოლუცია, რომ ტაში დაგვიკრეს“

ერთი სემესტრი ტარტუს უნივერსიტეტში

მაია ტორაძე

საერთაშორისო კონფერენციაზე ტარტუში

თიკო აღნიაშვილმა ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი) სწავლის გასაგრძელებლად მკაცრი კონკურსი დაძლია და თავს ბედნიერად მიიჩნევს იმის გამო, რომ ევროპის უძველეს სასწავლებელში ერთი სემესტრის გავლის საშუალება მიეცა. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით სწავლობს და ტარტუშიც შესაბამისი საბაკალავრო კურსი აირჩია — პრომეთეოს პროგრამა გარდამავალი მეცნიერების შესახებ (“Prometheus Program on Transition Studie”). ესტონეთიდან საქართველოში დაბრუნებული სტუდენტი უკვე სხვაგვარად აფასებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ურთიერთობების პრობლემას, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის წინაშე, როგორც მოქალაქის პასუხისმგებლობის საკითხს.

თიკო აღნიაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი:

დღეში, სულ ცოტა, 60 გვერდი უნდა წაგვეკითხა

— სასწავლო პროგრამაში, რომელიც მე ავირჩიე ტარტუს უნივერსიტეტში, აქცენტირებული იყო პოლიტიკური ტრანსფორმაციები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ვსწავლობდით პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებს და ევროკავშირისა და ნატოს როლს ამ პროცესებში. საკმაოდ დატვირთულნი ვიყავით. დღეში, სულ ცოტა, 60 გვერდი უნდა წაგვეკითხა და გვესწავლა. ეს საბოლოო ჯამში უბარმაზარი სასწავლო პროგრამა გამოვიდა, რასაც, სამწუხაროდ, თბილისის უნივერსიტეტში ვერ გავივლიდი.

სემესტრის დასრულების შემდეგ ჩამოვიტანე 25 კრედიტი, რომელთაგან 20 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც ჩამითვალა. მიმაჩნია, რომ ტარტუში გატარებული სემესტრის შედეგად გავიზარდე პიროვნული და აკადემიური თვალსაზრისით — გავხდი უფრო თავისუფლად მოაზროვნე, ვისწავლე საკუთარი აზრის დაცვა.

„რევოლუციის დღე“

უნივერსიტეტის პროფესორები დიდ ყურადღებას უთმობდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ტრანსფორმაციების განხილვას. **დაინტერესდნენ საქართველოსა და უკრაინის რევოლუციებითაც და უკეთ გასარკვევად მოგვიწყვეს „რევოლუციის დღე“. ამ დღეს მე და უკრაინელ სტუდენტს დეტალურად უნდა აგველწერა ჩვენს ქვეყანაში მომხდარი მოვლენები და ვეგვეფასებინა ის. სხვათა შორის, უამრავი სტუდენტი დაგვესწრო და მწვავე კითხვებიც დაგვისვეს, მაგალითად, ასეთი: რით სჯობს ნატოში გაწევრიანება რუსეთთან ყოფნას ან რატომ უნდა გვინდოდეს თავისუფლება, თუკი საბჭოთა კავშირის დროსაც კი გაცილებით მდიდარი ვიყავით... ისე დავიცავით ჩვენი ქვეყანა და რევოლუცია, რომ ტაშიც დაგვიკრეს...**

ლექციები უნივერსიტეტის ეზოში

ლექციები აგებული იყო სტუდენტის აქტივობაზე, რაც უჩვეული იყო ჩემთვის, რადგან მიჩვეული ვიყავი ორი საათის განმავლობაში გაუნძრევლად მესმინა ლექციისათვის. იქ კი კითხვა-პასუხში და დისკუსიაში ისე გადიოდა დრო, ვერც ვამჩნევდით. ლექტორს აინტერესებდა არა ის, თუ რამდენად გაქვს მასალა წაკითხული, არამედ შენი აზრი და ანალიზის უნარი ამა თუ იმ საკითხზე.

ყველაზე მეტად ტარტუში მომეწონა უშუალო და მეგობრული დამოკიდებულება პროფესორებსა და სტუდენტებს შორის. ჩვენ ერთად დავდიოდით კლუბებში, ექსკურსიებზე და სხვა და სხვა გასართობ ადგილებში. თუ თბილი ამინდი იყო (ტარტუში მკაცრი ბუნებრივი პირობებია), ლექციები უნივერსიტეტის ეზოში ფეხმორთხმულებსაც გვკითხებოდა, რითაც საშუალებას გვაძლევდნენ ყოველგვარი დაძაბულობისა და ძალადატანების გარეშე მოგვესმინა ლექტორისათვის. მეგობრობა კი დროებით მთავრდებოდა გამოცდაზე, სადაც ისინი ძალზე მკაცრნი და უშეღავათონი იყვნენ.

ტარტუს ბიბლიოთეკა დავით აღმაშენებლის პროსპექტს დაიტევს

გაოცებული ვარ ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, სადაც ყველაფერი სტუდენტზე და მის მოთხოვნებზეა ორიენტირებული. ტარტუს ბიბლიოთეკა იმხელაა, რომ მთელ პლეხანოვს დაიტევს. ბიბლიოთეკაში სრული კომფორტია. იქ შეგიძლია დაბალ სავარძელში მოკალათებულმა იკითხო, დაისვენო, მუსიკას მოუსმინო, ყავა მიირთვა და მთელი დღე ისე გაატარო მეცადინეობაში, რომ არ დაიღალო.

ტარტუ საუნივერსიტეტო ქალაქია და ყველგან ახალგაზრდული სული ტრიალებს. ისეთი სტუდენტური დღეები მოაწყვეს, რომ არასოდეს დამავიწყდება. იქ ვნახე პირველად ქალების ჩხუბი ტალახში, ნავებით შეჯიბრი (ნავი ჩვენი ხელით უნდა გაგვეკეთებინა), რომელსაც ისეთი ემოცია მოჰყვა, ვერ აგიღწერთ...

სტუდენტური დღეები დასრულდა ულამაზესი ფეიერვერკით და სამხრეთამერიკული რიტმებით.

FOOD-ფესტივალი

ეს ფესტივალი ტრადიციულია და ყველა სტუდენტმა თავისი ეროვნული კერძი უნდა წარმოადგინოს. სამწუხაროდ, ხაჭაპური ვერ გავაკეთე, რადგან იქ მხოლოდ ჰოლანდიური ყველი იყიდებოდა. სამაგიეროდ, გავაკეთე ლობიანი, რომელმაც ფურორი მოახდინა.

„გასაუბრება სიბნელეში“

ეს არის გამოფენა, რომელიც მსოფლიოში მილიონზე მეტმა დამთვალიერებელმა ნახა, მაგრამ რეალურად არავის უნახავს.

„გასაუბრება სიბნელეში“ უსინათლოთათვის შექმნა გერმანელმა ანდრეი ჰაინეკემ. დარბაზის მეგზური უსინათლოა, დამთვალიერებელი — თვალხილული და ...უსუსური, რადგან შედის აბსოლუტურ სიბნელეში და წარმოსახვით ათვალიერებს ქალაქის (გააჩნია, რომელ ქალაქში ტარდება გამოფენა) „ღირშესანიშნაობებს“. გესმის ხმაური და უნდა გამოიცნო, სად ხარ; გრძნობ სუნს და უნდა მიხვდე, სად ჩაიარე... „თვალიერებ“ ფერწერულ ტილოს და უნდა აღიქვა, რას `უყურებ“. ძალიან ძნელია. მაგალითად, მე ვერაფრით ამოვიცანი ისეთი მარტივი მოხაზულობის საგანი, როგორიცაა ქოლგა.

ეს ის ადგილია, სადაც ორი საათი ცხოვრობ უსინათლოთა ცხოვრებით და ხვდები, რომ შენ და ის თანასწორნი ხართ, რადგან არსებობს სიბნელე, სადაც უსინათლო სივრცის ისეთივე ბატონ-პატრონია, როგორიც შენ სინათლეში...

ბრძოლა თანასწოროებისათვის

მანანა ჯურხაძე

გაუმჯობესდა თუ არა ქართველ ქალთა მდგომარეობა საქართველოში

ქალისა და მამაკაცის ბიოლოგიური როლი განსხვავებულია, განსხვავებულია მათი სოციალური როლი და ადგილიც. ქალისა და მამაკაცის სოციალური როლი აღინიშნება ტერმინით „გენდერი“, რომელიც გულისხმობს ორივე სქესის თანაბარ მონაწილეობას როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას და თანაბარი პირობების შექმნას.

„გენდერი“ — სოციალურ ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელიც შეისწავლის სქესს და მასთან დაკავშირებულ თვისებებსა და ქცევას.

ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმა ლიკვიდირებულია

გენდერული თანასწორობა ქვეყნის და საზოგადოების განვითარების ერთერთი აუცილებელი პირობაა. ქალი, ისე როგორც მამაკაცი, თანაბარ პირობებში უნდა მონაწილეობდეს ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, ბიზნესი, განათლება თუ სხვა, ანუ ქალმა და მამაკაცმა უნდა ისარგებლონ ერთიანი სტატუსით.

1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ. 1981 წელს კონვენცია ძალაში შევიდა.

1994 წლიდან საქართველო შეუერთდა იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებიც შეთანხმდნენ, შეემუშავებინათ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული გეგმები.

„გენდერი და საზოგადოება“

18 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით, სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილებისა და სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების ინიციატივით გაიმართა პირველი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე — ,,გენდერი და საზოგადოება”.

სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილებათა უფროსმა ნინო ბერულავამ ჩვენთან საუბარში განაცხადა: — „კონფერენციისათვის მზადება ერთი თვის წინ დავიწყეთ. იგი უფრო მასშტაბური რომ ყოფილიყო, შევეცადეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან შეგვეკრიბა მონაწილეები, შეგროვდა 19 ნაშრომი. ჟიურიმ განიხილა თითოეული მათგანი და შეირჩა 13 საუკეთესო, რაც გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით კრებულის სახით გამოიცა.” კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა ასპექტს ასახავდა. მაგალითად: გენდერი და დასაქმება, გენდერი და მიგრაცია, გენდერი და ჯანმრთელობა, გენდერი და ძალადობა.

7 მომხსენებლიდან 6 ქალია

დავით სარაჯიშვილის სხდომათა დარბაზში შეიკრიბა გენდერული სა-

ეე-12 გვერდზე

გვიჯდება თუ არა სიცოცხლის ფასად ზარი ახლოგელთან?

ამ თემაზე უცხოელ ექსპერტთა დასკვნა რომც არსებობდეს, საქართველოში მობილურზე უარს მაინც არავინ იტყვის. იტყუებიან თუ არა მობილური ტელეფონის მწარმოებელი კომპანიები, როცა აცხადებენ, რომ მობილურის სუსტი ბამოსხივება ჯანმრთელობას ზიანს არ აყენებს? ფიჭური კავშირბაბმულობის ანძის ახლოს მცხოვრები ადამიანები დარწმუნებულნი არიან, რომ ბახშირებული თავის ტკივილი სწორედ მობილურის ანძას უკავშირდება.

მეცნიერები ჯერჯერობით თავს აქნევენ და ბადაჭრით არაფერს ამბობენ. ვიცით მხოლოდ ის, რომ ეს საკითხი შესწავლის სტადიაშია. ამ კუთხით კვლევების ბაბრძელების აუცილებლობისა და ჭრობლემის აქტუალობის ბამო მიენიჭა წელს უდიდესი მნიშვნელობა ქართველ მეცნიერ-ფიზიკოსთა ჭროექტებს, რომელიც ელექტრომაბნიტური ველის მავნე ზეგავლენისაგან ადამიანის დაცვის მექანიზმების კვლევას ეხება.

იქმნება მობილურის უსაფრთხო ანტენა

გიორგი ღვედაშვილმა პერსონალური საკომუნიკაციო სისტემების ანტენებზე მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ამ პრობლემას ეხებოდა. მისი თემაც, რომლის დასრულების შემდეგ უფრო ინტენსიურად დაიწყო კვლევები, რომლის მიზანია ისეთი ფორმის, ზომის და პარამეტრების ანტენის შექმნა, რომელიც დაკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს — სასურველია ანტენა იყოს მცირე ზომის და ლამაზი დიზაინის (განსაკუთრებით მობილური ტელეფონის შემთხვევაში), კარგად შეთანხმებული მკვებავ სადენთან და თავისუფალ გარემოსთან (ანუ, მიწოდებული ენერგია მაქსიმალურად მოხმარდეს კავშირის დამყარებას), ჰქონდეს გამოსხივების ფართოსიხშირული დიაპაზონი. ანტენები უნდა აკმაყოფილებდნენ ეკოლოგიის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებს, ხასიათდებოდნენ გამოსხივების მინიმალური ენერგიით.

თანამედროვე საზოგადოება შეეჩვია მობილურ ტელეფონებს, თუმცა ხშირად ისმის კითხვა, რამდენად უსაფრთხოა იგი მისი ჯანმრთელობისათვის?

გიორგი ღვედაშვილი ამტკიცებს, რომ მობილურის ანტენის ველსა და ადამიანის სხეულს შორის წარმოიშობა ძლიერი ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედება, რაც იწვევს ანტენათა მახასიათებლების ცვლილებას და არამდგრადობას. არამდგრადი ანტენით საიმედო კომუნიკაციის მისაღებად საჭირო ხდება დიდი მოცულობის, ფაქტობრივად, ზედმეტი ენერგიის გამოსხივება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი სითბური ზეგავლენა ადამიანის თავის ქსოვილზე. მიუხედავად ელექტრომაგნიტური ველის შედარებით დაბალი სიხშირისა და ენერგიისა, რაც არ არის საკმარისი მოლეკულათა იონიზაციისთვის, თავის ქსოვილზე სითბურმა ზეგავლენამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალი არასასურველი ეფექტი: თავის ტკივილი, დაღლილობის შეგრძნება და ა. შ.

ამდენად, კვლევების აქტუალობა გამოწვეულია უკაბელო საკომუნიკაციო სისტემების პროგრესით და, რაც მთავარია, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო საკომუნიკაციო სისტემების შექმნით.

ნახ. 1. ბეჭის ელემენტია; მარცხნივ: სამეტრიული, მარჯვნივ: ბინარული ელემენტები

გიორგი ღვედაშვილი:

„— ჩვენ მიერ შეიქმნა „მსხლის ფორმის“ ანტენა, რომლის მეტალური ნაწილი დაფარულია თხელი დიელექტრული ფენით, რაც უზრუნველყოფს გეომეტრიული ზომების შემცირებას. ეს ფორმა გვეხმარება, კარგად შევათანხმოთ ანტენა მკვებავ სადენთან და თავისუფალ გარემოსთან, აქვს ოპერირების (ფუნქციონირების) ფართო სიხშირული დიაპაზონი.

ფორმის შექმნის შემდეგ მოხდა ანტენის გამოკვლევა და შეიქმნა პროგრამული პაკეტი მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ინტერფეისით. პაკეტი არ მოითხოვს მომხმარებლისგან ფიზიკის და მათემატიკის ღრმა ცოდნას, იგი საშუალებას იძლევა შევარჩიოთ ანტენის ოპტიმალური ვარიანტები.

თავის მხრივ, პროგრამულ პაკეტზე მუშაობამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა სხვა და სხვა მოდელები (სხვა და სხვა ფორმისა და ზომის ანტენები), გამოგვეკვლია მათი გამოსხივების მახასიათებლები, რის შემდეგაც მივედით დასკვნამდე, რომ სათანადო გეომეტრიული და ელექტრომაგნიტური ვარიანტების შერჩევის შედეგად, ანტენა აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სხვათა შორის, პროგრამული პაკეტის დახვეწა-მოდიფიკაციის შემთხვევაში, (რაც გულისხმობს მის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანას და ამ გრანტშიც არის ჩადებული), ეს პროგრამა შეიძლება სასწავლო პროცესშიც გამოვიყენოთ“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ გიორგი ღვედაშვილმა მიიღო INTAS -ის ახალგაზრდა მეცნიერთა პოსტდოქტორული გრანტი, რომლის ფარგლებშიც სამი თვე დაჰყო ბულგარეთში, სადაც სწორედ ამ პროგრამული პაკეტის დახვეწა-განვითარებაზე მუშაობდა. პარალელურად ლექციები წაიკითხა ბულგარეთის 10 უნივერსიტეტში. მისი კვლევებით დაინტერესდა ბულგარეთის ტელევიზია და პრესა, დამყარდა სამეცნიერო ურთიერთობები ბულგარელ მეცნიერებთან.

INTAS -ის ახალგაზრდა მეცნიერთა პოსტდოქტორული გრანტის ფარგლებშივე ოთხი თვე იმუშავა ციურიხში, შვეიცარიის ფედერალურ-ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მოხდა დამზადებული ანტენის პროტოტიპების ექსპერიმენტული გამოკვლევა და მისი რიცხვით შედეგებთან შედარება. თანხვედრა იყო ძალიან კარგი, ანუ გაზომილი და მოდელირების შედეგად მიღებული შედეგები დაემთხვა ერთმანეთს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გიორგი ღვედაშვილის მიერ განხორციელებული კვლევები დაფუძნებულია ორიგინალურ ქართულ მეთოდზე, ანუ ეყრდნობა ქართველი მათემატიკოსების — ვიქტორ კუპრაძის, ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას კვლევებს. კერძოდ, საუბარია დამხმარე გამომსხივებლების მეთოდზე (დგმ), რომელიც წარმატებით გამოიყენება ანტენური და სხვა ელექტრომაგნიტური ამოცანების ამოსახსნელად. ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა ეფექტურად ამოიხსნას მრავალი ტიპის ელექტროდინამიკური ამოცანა პერსონალურ კომპიუტერებზე, მაშინ, როდესაც სხვა მეთოდები გაცილებით დიდ რესურსებს მოითხოვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტის ერთ-ერთი მიზანია ანტენისა და მომხმარებლის ურთიერთქმედების კვლევა.

გიორგი ღვედაშვილი:

„— ანტენიდან სიმეტრიული გამოსხივების შემთხვევაში მომხმარებლის მიერ შთაინთქმება გამოსხივებული ენერგიის დიდი ნაწილი, რაც ცუდად მოქმედებს მომხმარებელზეც და სატელეფონო კავშირზეც, რადგან საჭირო ხდება კიდევ დამატებითი ენერგიის მიწოდება. მომხმარებელზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ამ ანტენის ერთი მხარე დაიფარა მეტალური გარსით, რაც უზრუნველყოფს ველის ეკრანიზებას და ვიღებთ მიმართული გამოსხივების მქონე ანტენას. ახლა მიმდინარეობს კვლევა — როგორ შეიცვლება გამოსხივების მახასიათებლები მეტალური ფენის პარამეტრების ცვლილებით.

სწორედ ამ სამუშაოებისთვის გამოყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გრანტი 60 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც მოხდება სასურველი ელექტრომაგნიტური მახასიათებლების მქონე ოპტიმალური გეომეტრიული ფორმის და ზომის ახალი ტიპის პერსონალური საკომუნიკაციო სისტემების ანტენათა გამოკვლევა; მოსახერხებელი ინტერფეისის მქონე პროგრამული პაკეტის შექმნა მეტალო-დიელექტრიკული ანტენების მოდელირებისთვის და ანტენის ველის ახლომდებარე სხეულებთან (კერძოდ ადამიანის სხეულთან) ურთიერთქმედების შესწავლისთვის; ანტენის ველის ადამიანზე ზემოქმედების შესწავლა; მოდელირებით შერჩეული ოპტიმალური პარამეტრების საფუძველზე ანტენის პროტოტიპების შექმნა, ექსპერიმენტული გაზომვების ჩატარება და რიცხვით შედეგებთან შედარება.

ამ გრანტის ფარგლებში დაგეგმილია სამუშაო ოთახის მოწყობა, 10 მეცნიერის ჩართვა სამეცნიერო კვლევებში და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ახალგაზრდა მეცნიერთა წარმოჩენას, ასევე ახალი კავშირების დამყარებას უცხოელ კოლეგებთან“.

გიორგი ღვედაშვილი და დავით კაკულია

ცნობისათვის:

გიორგი ღვედაშვილი

32 წლის, 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტი;

2002 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „წვეთის ფორმის ანტენის გამოსხივება და მისი ურთიერთქმედება მომხმარებელთან“;

არის 28 სამეცნიერო შრომის ავტორი და თანაავტორი;

2003 წელს მიიღო INTAS-ის ახალგაზრდა მეცნიერთა პოსტდოქტორული გრანტი;

2005 წელს — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტი: „მობილური ტელეფონის უსაფრთხო ახალი ანტენების შექმნა და მათი გამოსხივების შესწავლა მომხმარებლის გათვალისწინებით“.

2006 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მისმა პროექტმა „პერსონალური საკომუნიკაციო სისტემების (PCS) მეტალო-დიელექტრიკულ ანტენათა გამოკვლევა ელექტრომაგნიტური შემთავსებლობის (EMC) და მომხმარებლის ჯანმრთელობის მაქსიმალური უსაფრთხოების თანამედროვე ნორმების შესაბამისად“ პირველი ადგილი და გრანტი მოიპოვა.

მეცნიერები ჯანდაცვაზე ზრუნავენ

დავით კაკულიას პროექტი ეხება არამაიონიზირებელი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების შესწავლას ბიოლოგიურ ობიექტზე და კვლევის შესაძლებლობების გაფართოებას ექსპერიმენტული გაზომვების და კომპიუტერული მოდელირების გამოყენებით. მისი მიზანია ელექტრომაგნიტური ზემოქმედების რეალისტური მოდელების, სცენარების შექმნა და ზემოქმედების შეფასება ელექტრომაგნიტური, ენერგეტიკული და სითბური ანალიზით.

დღეს მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა ელექტრომაგნიტური ზემოქმედებით გამოწვეული, როგორც სითბური, ისე ბიოლოგიური, ეფექტების მექანიზმების შესწავლა. ყოველივე ეს უშუალო კავშირშია ეკოლოგიურ პრობლემებთან, ადამიანის ჯანმრთელობის რისკფაქტორის დადგენასთან, ელექტრომაგნიტური ველების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავებასთან. აღსანიშნავია, რომ ეს ნორმები და სტანდარტები სხვადასხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთიანი ხედვა საერთაშორისო დონეზე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ფაზაშია.

არასითბურ ეფექტებზე საუბარი მიღებულია ელექტრომაგნიტური ველის შედარებით დაბალი დონის შემთხვევაში. მათი ზემოქმედების მექანიზმი არ არის კარგად შესწავლილი, ამიტომ ამ მართულებით ჩატარებულია და დღესაც ტარდება მრავალი ექსპერიმენტი. მათ ნაწილში დამზერილია დაავადებების გამოწვევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ექსპერიმენტები არაგანმეორებადია. საქმე ისაა, რომ ასეთი დონის გამოკვლევებში ყველა ფაქტორის გათვალისწინება ძალზე რთულია, რაც არ იძლევა საშუალებას, დადგინდეს, არის თუ არა ესა თუ ის დაავადება გამოწვეული დაბალი სიმძლავრის დასხივებით.

შედარებით მძლავრი დასხივების დროს ელექტრომაგნიტური ველის ენერგიის დიდი ნაწილი სხეულში სითბურ ენერგიაში გადადის. ჩატარებული კვლევები უჩვენებენ რომ, სითბური ეფექტების მექანიზმი კარგად არის შესწავლილი. შედეგად ნორმების და სტანდარტების შესახებ დასკვნების გაკეთება ჯერ-ჯერობით, მხოლოდ სითბურ ეფექტებთან დაკავშირებით არის შესაძლებელი. მაღალი ელექტრომაგნიტური ველის მიერ გამოწვეული სითბური ეფექტი შესაძლოა სავალალოც აღმოჩნდეს. თუმცა აქაც საკითხი ბოლომდე არ არის გარკვეული, რადგან გარემოს ტემპერატურის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს. ის აუცილებლად უნდა იყოს გათვალიწინებული სტანდარტების და ნორმების შემუშავებისას. ეს მეტად მნიშვნელოვანია და აღნიშნული პროექტის ფარგლებში იქნება გამოკვლეული.

ამ პროექტით ასევე განსაზღვრულია ელექტრომაგნიტურ ველში მყოფი ადამიანის შიგნით ველის შთანთქმის კუთრი სიჩქარის ან ტემპერატურის ნაზრდის განაწილებების შესწავლა. ყველა ამ სიდიდის დადგენა მნიშვნელოვანია ელექტრომაგნიტური ზემოქმედების დონის შესაფასებლად. ამ პრობლემის შესასწავლად ერთადერთ რეალურ გზას წარმოადგენს კომპიუტერული მოდელირება, რომელიც რიცხვითი დიზიმეტრიით არის ცნობილი.

ბოლო წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში შეიმუშავეს პროგრამული პაკეტი, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის სხეულში ელექტრომაგნიტური ამოცანის სიმულირებასა და შედეგად მიღებული თერმული ეფექტების მოდელირებაზე. პროექტით გათვალიწინებული გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელდება პროგრამული პაკეტის საშუალებით.

ამჟამად პროგრამული პაკეტი გადის აპრობაციას მსოფლიოს ათამდე უნივერსიტეტსა და ისეთ საყოველთაოდ ცნობილ კომპანიებში, როგორიც არის მოტოროლა და ფრანც-ტელეკომი.

დავით კაკულია:

— ჩვენი გამოკვლევები ამ პროექტში არ გასცდება თერმული ეფექტების შესწავლას ელექტრომაგნიტური და ტემპერატურული გარემოს სხვა და სხვა პირობების შემთხვევაში.

ელექტრომაგნიტური ველის ფართო სიხშირულ არეში დასხივებისას ადამიანის შიგნით ელექტრომაგნიტური ველის, შთანთქმის კუთრი სიჩქარის და ტემპერატურული ნაზრდის განაწილებების დადგენა-გამოკვლევა მნიშვნელოვანია ექიმებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის, დაავადებების წარმოშობის ანალიზის თვალსაზრისით.

ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ელექტრომაგნიტური ველის გამზომი მართვადი სისტემის შემუშავება, რომელიც გარკვეულ სივრცეში ჩატარებული გაზომვების მონაცემებს კომპიუტერს მიაწვდის, სადაც მოდელირების მეშვეობით დადგინდება ელექტრომაგნიტური ველის შესაძლო გავლენა ადამიანზე.

აღნიშნული გამზომი სისტემა და შემუშავებული მეთოდიკა ან მათი ანალოგები მომავალში აუცილებლად უნდა დაინერგოს ჯანმრთელობის უსაფრთხოების მონიტორინგის, როგორც სახელწიფო, ასევე დამოუკიდებელ სამსახურებში.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ელექტრომაგნიტური დაბინძურების და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პრობლემა ძალზე კომპლექსურია. საზღვარგარეთ მისი გამოკვლევა ხორციელდება სწორი მიდგომებით. მასში ჩაბმულია მრავალი დარგის სპეციალისტი: ფიზიკოსები, ბიოლოგები, ექიმები, სოციოლოგები და ა.შ. მათ მუშაობას ხელს უწყობენ და პრობლემის გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობენ, როგორც საერთაშორისო და სახელმწიფო უწყებები, ასევე კერძო კომპანიები — რაშიც დავრწმუნდი შარშან, შვეიცარიაში, მონტე-ვერიტაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე.

ვიმედოვნებ, რომ პრობლემების გადაჭრის ასეთი ხედვა ახლო მომავალში საქართველოშიც ჩამოყალიბდება.

ცნობისათვის:

დავით კაკულია

35 წლის, დაამთავრა თსუ-ს სოხუმის ფილიალის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი;

2003 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ღია მეტალური ზედაპირების სიხშირული მახასიათებლების შესწავლა დამხმარე გამომსხივებლების მეთოდით“.

2006 წელს მისმა პროექტმა, „ელექტრომაგნიტური დაბინძურება და ჯანმრთელობის უსაფრთხოების გამოკვლევა“, მიიღო საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი 47 ათასი ლარის ოდენობით.

გვერდი მოამზადა
მაია ტორაძემ

ბიბლიომეტრია – შესაძლებელია თუ არა მეცნიერების ხარისხის გაზომვა

ანა კირვალიძე

გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, ევროპაში საკმაოდ ცნობილი ბიბლიომეტრიკოსის ენტონი ვან რაანის ლექციის შემდეგ, რომელიც მეცნიერების ხარისხის გაზომვას, კერძოდ, ბიბლიომეტრულ ანალიზებს ეხებოდა, ფეხზე წამოდგა ერთერთი პროფესორთაგანი და ვან რაანს მიმართა: ,,მეცნიერული კვლევა სიყვარულს ჰგავს, ასეთი რამის გაზომვა კი შეუძლებელია". ვან რაანმა მას აუღელვებლად უპასუხა: ,,როდესაც ურთიერთობის ხარისხი ნულის საპირისპირო მიმართულებით მიემართება, სიყვარულამდეც ბევრი აღარ რჩება".

დაახლოებით 20 წლის წინ, როდესაც ენტონი ვან რაანმა ბიბლიომეტრიაზე დაიწყო მუშაობა, აკადემიკოსთა კვოტა ჰოლანდიაში საკმაოდ გაზრდილი იყო. იმისათვის, რომ უნივერსიტეტები დაეცვათ, მთელი მათი ინტერესი სწავლებაზე მიემართათ, უმაღლესი სასწავლებლები ეძებდნენ (გა)საზომ სიდიდეს, რათა გამოეთვალათ მიღწევები კვლევაში. ვან რაანმა, რომელიც იმ დროისთვის უკვე დაკავებული იყო თავის ფაკულტეტზე მეცნიერების მენეჯმენტით, დიდი ხნის ძიების შემდეგ აღმოაჩინა ბიბლიომეტრია – მეცნიერების დარგი, რომელიც იმ დროისთვის აშშ-ში ინერგებოდა.

90-იანი წლების ბოლოს, მეცნიერებმა ბიბლიომეტრია საკმაოდ აქტუალური თემა გახადეს. დღესდღეობით იგი პრაგმატული ინსტრუმენტია მეცნიერების მენეჯმენტში.

მეცნიერული პუბლიკაციების მეტისმეტმა ზრდამ საჭირო გახადა ნაშრომების ხარისხის სხვაგვარად გაზომვა, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა. ბუნებრივია, ხარისხის შეფასების ყველაზე საუკეთესო ფორმა მეცნიერული პუბლიკაციების კითხვა და მათი შესაბამისად აწონ-დაწონვაა. თუმცა ამის განხორციელება დღესდღეობით საკმაოდ რთულია, რადგან პუბლიცირებული სტატიების რაოდენობა უსასრულოდ იზრდება:

თუ 1973 წლისათვის საერთაშორისო მონაცემთა ბანკში **„Science Citation Index"** განთავსებული იყო დაახლოებით 400 000 სტატია, შემდგომ პერიოდში მათი რაოდენობა ყოველწლიურად მილიონზე მეტს აღწევს. იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს მეცნიერულ სამყაროში მათი სათანადოდ შეფასება, საჭიროა დამატებითი, მარტივად აღმოსაჩენი და შეძლებისდაგვარად ობიექტური კრიტერიუმების მოძიება. სწორედ ასეთ ინდიკატორებს ეძებენ ბიბლიომეტრიკოსები. ისინი იძლევიან ინფორმაციას პუბლიკაციის წარმატების(თვისობრივი) შესახებ, სპეციალისტთა საზოგადოებაში პუბლიკაციების აღქმისა და გავლენის მოხდენის შესახებ (რაოდენობრივი), მეცნიერების ლანდშაფტში მათი ინტეგრაციის შესახებ და პერსონებისა თუ ინსტიტუტების საერთაშორისო პოპულარობის შესახებ (კლასიფიცირება). ამ მონაცემთა დახმარებით ხდება სპეციალობებისა და უნივერსიტეტების ერთმანეთთან შედარება, ამასთანავე შესაძლებელია წინასწარ მეცნიერული ტენდენციების განსაზღვრაც, ანუ სად ჩნდება კვლევის ახალი მიმართულებები, რომელი ურთიერთდაშორებული დისციპლინები იწყებენ ერთმანეთთან კოოპერირებას და ა.შ. ბიბლიომეტრული ანალიზის ბოლოს გამოსახული ფერადი გრაფიკები, დიაგრამები და გრძელი ცხრილები იძლევიან ცნობებებს, თუ რომელი ფაკულტეტია ძლიერი და სუსტი, სად მუშაობენ ძლიერი ან ნაკლებად გავლენიანი პროფესორები.

ბიბლიომეტრია ძირითადად ინტერესდება, თუ რამდენი სტატია იქნა განსაზღვრულ თემაზე გამოქვეყნებული, როგორ შეიცვალა პუბლიკაციების მდგომარეობა გასულ წლებთან შედარებით,

რა როლს თამაშობს განსაზღვრული მიმართულება, როგორ აღიქმება მიმართულებების არჩევანი სპეციალისტთა საზოგადოებაში.

ინსტრუმენტი ამ შემთხვევაში არის სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და მათი აღქმა ციტატების ფორმით. ასე რომ, მონაცემთა ბანკი არის მხოლოდ საფუძველი. სამუშაოს დიდი ნაწილი მოითხოვს მონაცემთა დახარისხებას და მოწესრიგებას. ასე რომ, ბიბლიომეტრული ანალიზის მნიშვნელოვან, არსებით შემადგენელ ნაწილს ნორმირება წარმოადგენს.

აკვირდებიან რა ციტირებების სიხშირეს, ექსპერტები ადგენენ, რომ მაღალი ციტირების რიცხვს აღწევს სტატიათა მხოლოდ მცირე რაოდენობა, (ციტირების რიცხვი დაახლოებით 50-დან ზევით). სტატიების დიდი უმრავლესობა კი ციტირების საკმაოდ მცირე რიცხვს აღწევს. მაგალითად, გერმანიაში 1995 წლიდან 2003 წლამდე დროის პერიოდში მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ციტირების გარეშე დარჩა 180 000 სტატია. ამ სფეროს მეცნიერებებიდან გერმანიაში ყოველი მეოთხე სტატია ხუთი წლის განმავლობაში ციტირებული არ ყოფილა.

ნოდარ ლადარია

დიდი კვლევითი ტრადიციის მქონე ერებს შორის **Science Citation Index**-ში მნიშვნელოვანი ადგილი აშშ-ს უკავია, შემდგომ დიდ ბრიტანეთს, იაპონიას, გერმანიას, საფრანგეთს, ჩინეთს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები სხვადასხვა ფორმით არსებობენ (წიგნები, კონფერენციების ტომები, სამეცნიერო ჟურნალების სტატიები), ციტირების სიხშირის გასაზომად ხშირად ყურადღება მხოლოდ სამეცნიერო ჟურნალებს ექცევა. **Science Citation Index (SCI)** რეგულარულად აფასებს 6 000 საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ჟურნალს, სოციალური მეცნიერებების დისციპლინებში 1 200 სამეცნიერო ჟურნალს. მსოფლიოს მასშტაბით ყველა დისციპლინაზე ერთად, დაახლოებით, 120 000 სამეცნიერო ჟურნალი არსებობს.

ამგვარად, შეფასებასა და ბიბლიომეტრულ ანალიზებს საფუძვლად უდევს ჟურნალის სტატიების ზუსტად 5%, წიგნებისა და საკონფერენციო სტატიების დიდი რაოდენობიდან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია რეგისტრირებული. ეს ნიშნავს, რომ ციტატების გათვალისწინებაც ამ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მხოლოდ 5%-იდან ხდება.

ნაკლები პრობლემები არსებობს მონაცემთა შერჩევისას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ მსოფლიოს მასშტაბით არსებობს ერთნაირი ინტერესი. საკომუნიკაციო ენა ყველგან ინგლისურია, საბუნებისმეტყველო ნაშრომების დიდი ნაწილი ქვეყნდება სტატიების სახით სამეცნიერო ჟურნალებში. წიგნები აქ მხოლოდ დაქვემდებარებულ როლს თამაშობენ. ასე რომ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მსოფლიოს მასშტაბით მსგავსი სტანდარტი ბატონობს. ეს კი დიდი უპირტესობაა.

სრულიად სხვაგვარი სიტუაციაა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში: მრავალი თემა, პრობლემების დასმა და მეთოდები აქ ნაციონალური ან რეგიონალური მნიშვნელობისაა და ხშირად შესაბამის ენაზეა გამოქვეყნებული. ამდენად საერთაშორისო ჟურნალების ინტერესი ასეთი სტატიების მიმართ ძალიან მცირეა. რაც შეეხება სოციალურ მეცნიერებებს, აქ საერთაშორისო კლასიფიცირება და შეფასება პრინციპულად ძნელად განსახორციელებელია. ამას ემატება ისიც, რომ აქ წიგნებს, არსებითად, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ეს კი ისევ და ისევ გამოუსადეგარია ციტატების ანალიზისათვის.

ვისაც სურს, აღიქვან ნაციონალურ თუ საერთაშორისო მეცნიერად, იძულებულია ნაშრომი გამოაქვეყნოს **„Science Citation Index"**-ის მიერ რეგისტრირებულ ჟურნალში. ვის და რისი გამოქვეყნება შეუძლია ასეთ ჟურნალებში, ამას არეგულირებს მიწოდება და მოთხოვნა: ე.წ. წამყვანი ჟურნალები თავად ახდენენ საუკეთესო მასალის შერჩევას. ხოლო ვინც ვერ დააკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს, შესაბამისად ვერ შეძლებს გამოქვეყნებას.

თუმცა, უნდა ითქვას, მათ, ვისაც წილად ხვდა ასეთ ჟურნალში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების იშვიათი შესაძლებლობა, ჯერ კიდევ არ არის მიბეჭდება იმ კვალზე, რომელსაც ტექსტი ტოვებს საკაცობრიო სულიერ მემკვიდრეობაში. როგორ შეიძლება ავსახოთ ეს განსხვავება ბიბლიომეტრული ხერხებით?

მეცნიერება ფუფფუნებაა. უფრო ზუსტად, კაცობრიობამ აუცილებლად უნდა ხარჯოს მასზე ურიცხვი თანხები, რომ ჩვეულებრივი სამეცნიერო რუტინის მასაში იშვიათად გამოკრთეს მარგალიტი, რომელსაც ჩვენი საერთო განვითარება დაეყრდნობა. შესაძლოა, რომელიმე პედანტს მოუნდეს ამ სისტემის, ასე ვთქვათ, მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდა, მაგრამ ეს შეუძლებელია...

ბიბლიომეტრიის მნიშვნელობა ფასდაუდებელია, მაგალითად, მეცნიერების სოციოლოგიისათვის, საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების საკვლევად და ა. შ. მაგრამ ეს ვერ იქნება საფუძველი გადაწყვეტილების მისაღებად ამა თუ იმ კონკრეტული მეცნიერის შეფასებისას. არა მგონია, ოდესმე ვინმემ მეცნიერთა კოლეგიუმის გადაწყვეტილებაზე უკეთესი რამე გამოიგონოს. მხოლოდ მეცნიერთა კოლეგია, სადაც ყოველი ცალკეული წევრი უანგაროდ ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და კორპორაციულ ინტერესებს, არის ღირსეული და სამართლიანი საშუალება პერსონალური საკითხების გადასაწყვეტად. მე ვამბობ ღირსეული და სამართლიანი და არა შეუმცდარი – ამ უკანასკნელი თვისების ძიება უბრალოდ გაუმართლებელია.

– როგორია ქართველ მეცნიერთა დამოკიდებულება მეცნიერების შეფასების ამ სტანდარტისადმი და, საერთოდ, თუ ხვდება მათი სტატიები და ნაშრომები დღესდღეობით მსოფლიო ბაზარზე არსებულ საერთაშორისო მონაცემთა ბანკებში, როგორებიცაა, მაგალითად ISI ფილადელფიაში, WTS ჰოლანდიაში და ა.შ.?

– მე გამოვხატე საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება. ვერაფერს ვიტყვი ქართულ სამეცნიერო წრეებში არსებულ თვალსაზრისებზე. ერთი კი აშკარაა: საკითხი აუცილებლად უნდა განვიხილოთ თუნდაც იმიტომ, რომ არავის მოუვიდეს აზრად ადმინისტრაციული წესით ბიბლიომეტრიის შემოღება.

– რა სახის ბარიერები შეიძლება შეექმნას ქართველ მეცნიერს, რომელსაც სურს საკუთარი სტატიის გამოქვეყნება ჟურნალში, რომელიც რეგისტრირდება საერთაშორისო მონაცემთა ბანკში? რამდენად შეუძლია მას დააკმაყოფილოს შერჩევის კრიტერიუმები?

– ბარიერები, საბედნიეროდ, არაა განპირობებული ავტორთა ეთნიკური მიკუთვნებულობით. რაც შეეხება უფრო დეტალურ პასუხს, ის დამოკიდებულია კონკრეტულ დარგზე. საქართველოში, ისე როგორც ყველგან, არსებობს მეცნიერების მეტად და ნაკლებად ძლიერი სკოლები, მეტად და ნაკლებად დამუშავებული თემები, მეტად და ნაკლებად განვითარებული მიმართულებები. ყველაფერს განსაზღვრავს პირადი ნიჭისა და ინტელექტუალური გარემოს ბედნიერი შეხამება. ვფიქრობ, რომ ადამიანებმა ეს შეთანხმება უნდა შექმნან, თუნდაც იმით, რომ საზღვარგარეთ გადავიდნენ სამუშაოდ...

– რამდენად რეალურია დღესდღეობით საქართველოში საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა, რომელიც შეძლებს ფიქსირებული გახდეს მსოფლიო ბაზარზე არსებულ საერთაშორისო მონაცემთა ბანკების მიერ? და თუ მიმდინარეობს დღეს ამ მიმართულებით მუშაობა სამეცნიერო და მსგავსი პრობლემატიკით დაინტერესებულ წრეებში?

– გაცილებით ადვილი წარმოსადგენია საქართველოში დაიბადოს ახალი აინშტაინი, ვიდრე შეიქმნას საშუალო ნიჭის, მაგრამ მაღალი პროფესიონალიზმის მრავალი ადამიანის შეთანხმებული ერთობა, რომელიც აუცილებელია ჟურნალის გამოსაცემად. არა მგონია, საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა დღევანდელ საქართველოში რეალური იყოს. უფრო მეტიც, დარგების უმრავლესობისათვის ასეთი ჟურნალი საქართველოში პრინციპულად ვერ იქნება შესაძლებელი. არაფერი ტრაგიკული ამაში არაა. ვფიქრობ, წამყვანი სამეცნიერო ჟურნალები სულ უფრო დაკარგავენ რომელიმე კონკრეტულ ერთან ან სახელმწიფოსთან ასოცირებულობას და საერთაშორისო ფენომენებად იქცევიან. ენა, რა თქმა უნდა, ინგლისური იქნება.

– მაშინ როდესაც მსოფლიოში პუბლიკაციის წარმატების, პერსონების, სპეციალობებისა თუ უნივერსიტეტების შედარება და შეფასება ხდება ბიბლიომეტრული ანალიზების საშუალებით, რა კრიტერიუმებით ხორციელდება ყველაფერი ამის შეფასება საქართველოში?

– პუბლიკაციის, პიროვნების, სპეციალობისა და უნივერსიტეტის შესაფასებელი არავითარი მყარად დადგენილი კრიტერიუმი საქართველოში არ არსებობს. არც ის მგონია, რომ ბიბლიომეტრია მთელ მსოფლიოში წამყვან როლს ასრულებდეს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ გადამწყვეტი მეცნიერთა კოლეგიუმის აზრი უნდა იყოს. ეს აზრი არაა დაზღვეული შეცდომისაგან, მაგრამ ყოველი შეცდომა პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას გამოიწვევს. მაშინ როცა ვერავინ აგებს პასუხს ბიბლიომეტრიის შეცდომებზე.

– როგორ ფიქრობთ, გავრცელებული აზრი, რომ მეცნიერებს მთელს მსოფლიოში დიდ სიამოვნებას ანიჭებს სამეცნიერო სტატიების თუ ნაშრომების გამოქვეყნება, ვრცელდება თუ არა ქართველ მეცნიერებზეც?

– პირადად მე სტატიის მოფიქრება უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე მისი წერა. ასეთი მოფიქრებული და დაუწერელი სტატიები უამრავი მაქვს. ეს ჩემს სერიოზულ ნაკლად მიმაჩნია, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი გავაწყვე. რატომღაც მგონია, რომ საქართველოში სტატიების გამოქვეყნება, ძირითადად, ვალდებულების გამო ხდება. ქართველები ამაყობენ თავიანთი შვილებით (თუნდაც არაფრის მაქნისნი ჰყავდეთ) და რცხვენიათ იმის აღიარება, რომ სექსი (თუნდაც "კანონიერი") სიამოვნებას ანიჭებთ. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სამეცნიერო სტატიების შემთხვევაში. ძალიან ამაყობენ შედეგით, ანუ გამოქვეყნებული ტექსტებით, მაგრამ ნაკლებად იზიდავთ შექმნის პროცესი...



ნამდვილი მეცნიერი არ მიდის სამეცნიერო არენიდან

ინტერვიუ ჰროფესორ ნუგზარ ალექსიძესთან

ნინო კაკულია

— საუნივერსიტეტო რეფორმის მიმდინარეობის პროცესში შეუძლებელია რექტორატის ინტერესებში არ შედიოდეს ღირსეული კადრების შენარჩუნება, რადგან მიზანი უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლება და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაა. ყველა პროფესორი აღიარებს საუნივერსიტეტო რეფორმის გატარების აუცილებლობას, მაგრამ კონკურსის შედეგებით ზოგი უკმაყოფილოა. რით ახსნით ამას?

— რეფორმა რომ უნდა ჩატარებულიყო, ამას არავინ უარყოფდა და არც დღეს უარყოფს. 50-60 %-მდე კადრების შემცირება აუცილებელიც იყო, მაგრამ პრობლემა იმაშია, ვინ დარჩა უნივერსიტეტში და რა დარგები შევინარჩუნეთ. ჩვენი ფაკულტეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრი დარგი, სამეცნიერო მიმართულება დაიკარგა. მაგალითად, ბიოქიმიის კათედრაზე მუშაობდა 25 სპეციალისტი, აქედან 7 დოქტორი. დღეს დარჩა ერთი ასოცირებული პროფესორი და ერთი ასისტენტ-პროფესორი. რა თქმა უნდა, ეს დარგს დააზარალებს. ჩვენ, ადრე, სტუდენტთა მეცნიერულ აღზრდაზე ვზრუნავდით. მარტო ლექციებით ვერ გავზრდით მათ, ვინაიდან მხოლოდ თეორიული ცოდნა სტუდენტებში ვერ გახდება მეცნიერული დონის ამაღლების მოტივაცია. პრინციპი ერთია: განათლება არ არსებობს მეცნიერების გარეშე და მეცნიერება განათლების გარეშე.

მე ერთი წელი ვიმუშავე შვედეთში, სადაც ხშირი ურთიერთობა მქონდა მსოფლიოში აღიარებულ პროფესორებთან, მათ შორის, ჰოლგერ ჰიდენთან. მას არაერთხელ დავუსვი შეკითხვა, თუ რატომ მუშაობდა უმაღლეს სასწავლებელში მაშინ, როდესაც დიდი პერსპექტივა ჰქონდა მეცნიერებაში. (ის ნობელის პრემიაზეც იყო წარდგენილი) იცით, რა მიპასუხა? ,,თქვენთვის, ალბათ, უცნობია, თუ რა იდეები მოდის სტუდენტებიდან, ახალგაზრდებიდან. ზოგჯერ მცდარი, მაგრამ ძალიან რაციონალური მარცვალის პოვნა შეიძლება მათში. ბევრი ჩემი ნაშრომი სწორედ სტუდენტების იდეებიდან მოდის". ასეთი პასუხის მიღების შემდეგ, მეც, ყოველთვის, როცა სტუდენტი აპირებდა სამეცნიერო მუშაობის დაწყებას, ვეკითხებოდი, თუ რა აინტერესებდა მას. ახალგაზრდობისათვის ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ სტუდენტთა მეცნიერული აღზრდის გზით მომზადებული მყავს 10 დოქტორი და 21 კანდიდატი.

— სამეცნიერო მუშაობისთვის რა პირობებია შექმნილი უნივერსიტეტში?

— კონკურსი ჩატარდა იმის გათვალისწინებით, ვის რა სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორია გააჩნდა. ბიოლოგიის ფაკულტეტზე არის თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ორი ლაბორატორია, რომელიც უცხოელი მეცნიერების აღფრთოვანებას იწვევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკულად, 25 თანამშრომლიდან მხოლოდ 2 თანამშრომელი დარჩა. თუ ეს ლაბორატორიები გაუქმდა, მაშინ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. სტუდენტებს არ ექნებათ სათანადო პირობები, თუნდაც, მცირე მოცულობის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **რექტორის წინაშე დავაყენე ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ბიომედიცინის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის საკითხი, რაც რექტორმა მთელი სერიოზულობით მიიღო და დაგვპირდა, რომ რექტორატი უახლოეს მომავალში ამ პროგლემას განიხილავს. სასწავლო სამეცნიერო ცენტრში იმუშავებენ მედიკოსები და ბიოლოგები.** ამით შესაძლებლობა შეიქმნება სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაებან ბაკალავრიატის სტუდენტები, მომზადდეს სამაგისტრო ნაშრომები და სადოქტორო დისერტაციები.

საინტერესოა, რომ მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრაზე ამერიკელებთან თანამშრომლობით შესრულებულია უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოები. პროფესორ გიორგი ალექსიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა კიბოს საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატი GA-40, რომელიც, რეიტინგით მე-2 ადგილზეა. დადგინდა, რომ პრეპარატი მხოლოდ გადაგვარებული უჯრედების სიკვდილს იწვევს. ახლახან შეიქმნა კიდევ C-ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატი. ამ პრეპარატებით დაინტერესდნენ ამერიკელი ფირმები და შეიქმნა კორპორაცია **„Alexsis international**, რომელიც იწყებს ამ პრეპარატის კომერციალიზაციას.

სამწუხაროდ, ბატონ გიორგი ალექსიძეს მოუხდა უნივერსიტეტის დატოვება, მაგრამ ბერძნეგმა ის ,,შეიძინეს" და დაჰპირდნენ, რომ უახლოეს მომავალში მისი ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნება სამეცნიერო ცენტრი ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნის მიზნით. ბატონი გიორგი თანახმაა, ითანამშრომლოს სტუდენტებთან და შეძლებისდაგვარად წაუკითხოს მათ რამდენიმე პრობლემური ლექცია.

ასეთი და კიდევ სხვა მრავალი მოქმედი მეცნიერის დასაქმებისთვის აუცილებლად მიმაჩნია სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნა, რათა შევინარჩუნოთ საუნივერსიტეტო მეცნიერების მაღალი პროფესიული დონე.

— სამეცნიერო საქმიანობით გატაცებულ პროფესორებს პოლიტიკაზე საუბარი არ უყვართ ხოლმე. ისინი, თითქოს, სხვა განზომილებაში ცხოვრობენ — იმდენად არ სიამოვნებთ პოლიტიკისთვის ,,დროის ფუჭად ხარჯვა". თქვენ რამდენად ხშირად ერთვებით იმ ყოველდღიურ ყოფაში, რასაც, ძირითადად, მაინც პოლიტიკა წარმართავს?

რა გველის? — ამ ინტერესით ვუყურებ საინფორმაციო გამოშვებებს. ძალიან ძომწონს, რომ ჩვენი მთავრობა ვაჟკაცურად დგას. კაცობა მიყვარს! შეიძლება ზოგჯერ დავზარალდეთ, მაგრამ შენი კაცობა მაინც უნდა გამოამჟღავნო. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავთავისუფლდეთ. დიდი პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ მეჩვენება, რომ დღისით, მზისით, ტერიტორიას გვართმევენ. რუსები პასპორტებს აძლევენ ჩვენს მოქალაქეებს და შემდეგ გვეუბნებიან: — აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენო. თუ შენი მოქალაქეა, წაიყვანე რა! ტერიტორია გაკლია, თუ რა? სამწუხაროდ, აფხაზებმა ვერ გაითავისეს, რომ აფხაზებად დარჩნენ იმიტომ, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ. რუსეთში კი უკვე ასიმილირებულნი იქნებოდნენ. ის, ვინც აფხაზებს რუსეთისაკენ მოუწოდებს, აფხაზების მტერია!

— იმ თემატიკას, რასაც თქვენ შეეხეთ, ალბათ სჭირდება გამომზეურება და გარკვეული პროპაგანდაც. ბიოლოგები ასეთ საინტერესო თემებზე თუ მუშაობენ, ეს ბევრმა, ალბათ, არც იცის...

— ტელევიზორს არც თუ ისე ხშირად ვუყურებ, მაგრამ როცა ვუყურებ, ჯერ არ მქონია შემთხვევა, ერთხელ მაინც მენახოს გადაცემა ქართველ მეცნიერთა მიღწევებზე. არადა, სასაუბრო და საინტერესო საკმაოდ ბევრი გვაქვს. ამჟამად მე ინტენსიურად ვმუშაობ სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიების შექმნაზე.

მინდა, ჩემი გამოცდილება ფურცლებზე გადავიტანო. მენანება ეს ცოდნა, ჩემთან ერთად რომ წავიდეს და დაიკარგოს.

— თქვენ ხართ მრჩეველთა საბჭოს წევრი, რას ურჩევთ რექტორს?

— მე რამდენჯერმე მქონდა საუბარი რექტორთან. ,,ცოტა, მაგრამ კარგი!" — მის ამ პრინციპზე დამყარებული საკადრო რეფორმა მისაღებია. ბატონი გიორგის ნათქვამი: ,,ჩვენ არ დავკარგავთ წარმატებულ და მაღალი დონის პროფესიონალებს!" — ეს აუცილებლად უნდა გაჟღერდეს და გატარდეს. ვინაიდან ნამდვილი მეცნიერი არ მიდის სამეცნიერო არენიდან, მეცნიერი კვდება და მაშინ მთავრდება მისი მუშაობა - ეს პრინციპი უნდა დავიცვათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნობელის პრემიის ლაურეატების დიდი ნაწილი საკმაოდ ხანდაზმულია.

მასმედიისთვის ჯერაც აღმოუჩენელი მუსიკათმცოდნე, მონადირე, მეცნიერი ნუგზარ ალექსიძე საუბრობს მოკლედ ყველაფერზე, რაც უაღრესად საინტერესო.

თევზის მრეწველობა უნივერსიტეტს მილიონ ლარს მოუტანს?!

უნივერსიტეტში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, აუცილებელია, განვითარდეს მთელი რიგი ახალი მიმართულებები ბიოლოგიაში, მათ შორის, ჰიდრობიოლოგია. ჩვენ ხომ მდინარეების, ტბებისა და ზღვის ქვეყანა ვართ. საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ ამ მიმართულების განვითარებას. გასათვალისწინებელია უნივერსიტეტის ბაზა — ჯანდარის ტბა, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ სტუდენტური საწარმოო პრაქტიკების ჩასატარებლად და კარგი მენეჯმენტისა და თევზის მრეწველობის განვითარების შემთხვევაში უნივერსიტეტმა შეიძლება მილიონობით შემოსავალი მიიღოს.

რატომ არის გართულებული მეცნიერების მიღწევების დანერგვა პრაქტიკაში

უნდა დაეყრდნოს თუ არა საუნივერსიტეტო მეცნიერება გრანტს? მე ორ ფაქტს მოვიყვან და მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება: ჩემი ერთი ასპირანტის გრანტის მისაღებად წარდგენილ ნაშრომს ამერიკელმა მეცნიერმა 100 ქულა დაუწერა, საქართველოში კი ეს შრომა ჩააგდეს. მეორე სერიოზული ნაშრომი, რომელიც ეხებოდა სტრესს, აგრესიას და მკვლელი ორგანიზმის ფორმირებას, ამერიკელმა 94 ქულით შეაფასა, ქართველებმა კი ესეც ჩააგდეს. ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ საგრანტო ნაშრომი, რომელიც უცხოელმა შეაფასა სულ რაღაც 50 ქულის ფარგლებში, საქართველოში, მრავალგზის რეცენზიის საფუძველზე, გამსვლელ ქულამდე აიყვანეს. სამწუხაროდ, სამეცნიერო შრომის ,,ჩვენებური" შეფასების ასეთი მაგალითიც არსებობს.

სამწუხარო რეალობაა, რომ შეიძლება სიახლე შექმნა, მაგრამ ვერ დანერგო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატმა წარმატებით გაიარა გამოცდები მოხალისეებზე. თუმცა სერიოზული კლინიკური გამოცდების ჩატარება ვერ მოხერხდა. ალბათ ამ პრობლემით პრეზიდენტის მეუღლე სანდრა რულოვსიც უნდა დაინტერესდეს, ვინაიდან ის, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ტუბერკულოზის პრობლემას კურირებს. მითუმეტეს, რომ ამის შესახებ მას ოფიციალური წერილითაც მივმართეთ.

,,შენ კი შემძვრალხარ სოროში" — სიცილით მითხრა ბიძინა კვერნაძემ

სოროსის 5-გზის ლაურეატი ვარ. ძნელბედობის ჟამს ამან გადამარჩინა მატერიალურად. როცა გავხდი სოროსის პროფესორი, მე, ბიძინა კვერნაძე და ანზორ ერქომაიშვილი (ორივე ჩემი მეზობელია), ჩემთან სახლში საკახშმოდ დავსხედით. — ბიძინა, სოროსის პროფესორი გავხდი მეთქი, ვუთხარი. მკითხა: ფული არისო? კი-მეთქი! მან გაიღიმა და მითხრა: — შენ კი შემძვრალხარ, ჩემო ნუგზარ, სოროში, ჩვენ — რა გვეშველებაო?

რატომ გახდა ახალგაზრდების დიდი ნაწილი აგრესიული?

სტრესი, აგრესია და მკვლელი ორგანიზმების ფორმირება შემთხვევით არ მიხსენებია. ბიოქიმიის კათედრაზე მუშაობდა ერთი ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემას სწავლობდა. როგორც გარკვა, როდესაც საქართველოში სიცივისა და უშუქობის პრობლემა იდგა, როდესაც დაირღვა ბიოლოგიური რითმი, ამან ადამიანებში გამოიწვია სერიოზული სტრესი. როგორც ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, სიცივისა და სიბნელის, ბიოლოგიური რითმის დარღვევის დროს ვითარდება პათოლოგიური აგრესია. პათოლოგიური აგრესიის ფონზე ცხოველთა, დაახლოებით, 50-70% გახდა მკვლელი. აღმოჩნდა, რომ მკვლელი ორგანიზმების ფორმირებას ბიოლოგიურად აქტიური ერთერთი ნივთიერების შემცირება იწვევს. ლიტერატურაში უკვე გაიჟღერა იმ ფაქტმა, რომ თვითმკვლელობისას ორგანიზმში სერიოზულად მცირდება სეროტონინის რაოდენობა თავის ტვინში. ნევროპათოლოგების მონაცემების მიხედვით, სიბნელისა და სიცივისას, მათ ძალიან ბევრმა ადამიანმა მიმართა სხვადსხვა სახის ნევროლოგიური დარღვევის ჩივილით.

ნევროზული დაავადების მკურნალობა შესაძლებელია მუსიკით

მე ვწერ ერთ წიგნს, რომელშიც ერთერთი თავი ასეთი სახელწოდებითაა: ,,ადამიანი, მუსიკა და ეკოლოგია." როდესაც შემოვიდა ,,ფლეიერი ყურსასმენით", არაფერი განსაკუთრებული არ მოხდებოდა, რომ არა ერთი ფაქტი: ნერვული დარღვევები აღინიშნა მხოლოდ თეთრკანიანებში. რა მოხდა? როგორც ჩანს, როკი, შავკანიანებისგან განსხვავებით, ვერ „შეეთვისა" თეთრკანიანების გენეტიკურ რხევებს, რამაც სერიოზული დარღვევები გამოიწვია ორგანიზმში.

ახლახან ერთმა ინგლისელმა ქალბატონმა ხუთი მილიონი დოლარი მიიღო იმაში, რომ დაამტკიცა მცენარეული და ცხოველური უჯრედები მღერიან. სიმღერა რას ნიშნავს, იცით? რომ მას აქვს გარკვეული რხევა და რომ ბგერა არის რხევა. თუ ამ რხევებს ჩვენ ჩავწერთ, შეგვიძლია მუსიკა შევქმნათ, იმიტომ, რომ ყოველი ბგერა - ეს არის რხევა და რხევა არის ფერი. მაგალითად, ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი შეიძლება ფერებითაც დაიწეროს. უკვე არსებობს ,,რეცეპტიც" კი, თუ რომელი მუსიკალური ნაწარმოები შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის დაავადების სამკურნალოდ.

მე გავაანალიზე აკვნის „ნანები", ,,ბატონები" და სხვა მრავალი საგალობელი, რომლებიც დაწერილია ისეთ სამკურნალო რხევებზე, როგორიცაა დამამშვიდებელი ფერები (მწვანე, ცისფერი, თეთრი). რომ მუსიკა ნამდვილად იწვევს გარკვეულ მოტივაციურ ძვრებს ორგანიზმში — უკვე ეჭვს არ იწვევს, რაც მრავალი ფიზიოლოგიური ექსპერიმენტით იქნა დამტკიცებული.

მაგალითად, ჯაზური მუსიკის პიროებებში ჩანასახი შეიჭმუხნა. დამამშვიდებელი კლასიკური მუსიკის მოსმენისას, ჩანასახმა განიცადა რელაქსი.

ახლა უკვე ცნობილი გახდა, რომ სკანდინავიის ქვეყნებში მუსიკის გავლენით წველადობა 10 % - ით გაიზარდა. რა ხდება? მე მახსოვს, სენაკში, სოფელში საქონელი გვყავდა. ბებიაჩემი პირდაპირ წველას არ იწყებდა. აუცილებლად გადაუსვამდა ძროხას ხელს, დაამშვიდებდა, მოეფერებოდა, ჯიქანს შეუზელდა და მერე წველიდა. ანუ, გაუთვიცნობიერებლად ის საქონელს მოსაწველად ამზადებდა, ახდენდა მის რელაქსაციას, ამშვიდებდა.

მუსიკა, რომელიც ჩვენი გულის რითმს არ შეესაბამება, არითმიასაც იწვევს. ალბათ, ყველას გამოუცდია, რა დამთრგუნველად მოქმედებს ხმამაღალი მუსიკა. ხშირად მომისმენია, დაუწიეთ ხმას, თორემ შეიძლება ინფარქტი დამემართოს. თქვენ შეგიძლიათ მუსიკით მოკლათ ადამიანი!

მე არჩევანი უნდა გამეკეთებინა მუსიკასა და მეცნიერებას შორის

მუსიკის ძალიან დიდი მოყვარული ვარ. როცა მამაჩემმა მუსიკაზე მიმიყვანა, სენაკიდან დაბრუნებული, ფორტეპიანოსთვის უკვე დიდი ასაკისა აღმოვჩნდი. ამიტომ ვიოლინოს კლასში ჩამრიცხეს. შემდეგ ნიჭიერთა ათწლედში გადავედი. მიმიყვანეს დიმიტრი არაყიშვილთან, რომელმაც გაგვაგზავნა კონსერვატორიაში ანდრია ბალანჩივაძესთან. ანდრია ბალანჩივაძემ კონსერვატორიაში ბიძინა კვერნაძის კლასში ჩამრიცხა. მე არჩევანი უნდა გამეკეთებინა მუსიკასა და მეცნიერებას შორის. მამა მეცნიერ-მუშაკი იყო და გულმა მაინც აქეთ გამომიწია. მეცნიერება ისედაც მუსიკაა, იცით? როცა წერ შრომას, ის მუსიკაა. კარგი დაწერილი ტექსტი, კარგი მუსიკის ტოლფასია.

რაც კი ქართული ინსტრუმენტები არსებობს: — გუდასტვირი, ჭიბონი, ფანდური, სალამური, ჩონგური, დუდუკი, ქართული გარმონი, ვიოლინო — მე ეს ყველაფერი ოჯახში მაქვს და ყველაფერზე ვუკრავ. როცა ვიღლები, რომელიმე ინსტრუმენტზე ვუკრავ და ჩემს შვილიშვილსაც ვამხიარულებ. მაშინვე ცეკვას იწყებს და მეუბნება: — ,,ბაბუ, აი, ის დაუკარი! ..."

ჩემი ჰობია მუსიკა, ნადირობა და თევზაობა. ამ დროს, პრაქტიკულად ვითიშები და ვისვენებ. თევზს კარგად ვიჭერ. ოთხფეხა ცხოველი არასოდეს მომიკლავს. როცა სახლში მოკლული კაკაბი მოვიტანე, ჩემმა ვაჟმა, რომელიც მხატვარია, მითხრა: — მამი, არ გრცხვენია, ამას კაცი მოკლავდაო? იმ დღიდან მხოლოდ მწყერზე ვნადირობ.

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

ამას წინათ წავიკითხე — სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. როგორც ჩანს, ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით ცოცხალი სისტემის შესახებ. ბიოლოგიური სიკვდილი კიდევ არ ნიშნავს სიკვდილს. სული, როგორც ჩანს, მაინც რჩება. ადამიანი ბიოლოგიურად არ კვდება, როცა მას შთამომავლობა რჩება და არის მისი გენეტიკური მემკვიდრეობის გაგრძელების შანსი.

ნუგზარ ალექსიძე

დაიბადა 1935 წელს სენაკში.
ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა.
1959 წელს დაამთავრა თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტი.
სტუდენტობის პერიოდში იყო გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის ი.თარხნიშვილის სახელობის სტიპენდიანტი.
1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.
1978 წელს — სადოქტორო.
1979 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.
1988 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად
არის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრი.
მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი აკადემიური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.
არის საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი

რაც ჭეშმარიტია, მარად თანამედროვეა

მწერალთა ასოციაცია „მნათობი“ შეიქმნა

ნინო კაკულია

პირველი გვერდიდან

იაფფასიანი ლიტერატურა, ყვითელი პრესა, ტელე-საპონი, პოლიტიკა და ინტრიგა – ვიღებთ თუ არა ქართული საზოგადოებისთვის არც თუ სასარგებლო, მეტად კარგად შეზავებულ ამ საკვებს დღის განმავლობაში? ეს თემა მაშინვე არაპოპულარული ხდება, როგორც კი მას პრობლემად ვაქცევთ, რადგან პოლიტიკასა თუ სოციალურ გარემოში დღეს დამკვიდრებული თამაშის წესების შეცვლასა და ღირებულებებზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე მხოლოდ მცირედნი საუბრობენ. კულტურის მოღვაწეთა პასიურობა აშკარაა, მიზეზი – ალბათ მრავალმხრივი, მაგრამ ისტორიას მხოლოდ ფაქტები ქმნის.

ამდენადაა მნიშვნელოვანი და აღსანიშნი მწერალთა ახალი ჯგუფის შექმნა.

29 ივნისს გაიმართა მწერალთა ასოციაცია ,,მნათობის" წევრთა პირველი დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ: ანა კალანდაძე, ზაირა არსენიშვილი, ლია სტურუა, ქეთევან შენგელია, ჟანა ოთხვანი, გურამ გეგეშიძე, ნუგზარ შატაიძე, ბესიკ ხარანაული, გურამ ბენაშვილი, ირაკლი სამსონაძე, შადიმან შამანაძე, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ ბარნოვი, კოტე ჯანდიერი, მამუკა დოლიძე, ანდრო ბუაჩიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ზაზა ჭილაძე. ასოციაციაში მწერლებს აერთიანებთ დღევანდელი ქართული კულტურის, კერძოდ, მწერლობის პრობლემებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება. მათ მიაჩნიათ, რომ გლობალიზაციის რეალური საფრთხის ვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ეროვნული კულტურის გადარჩენასა და განვითარებაზე ზრუნვაა. მწერლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ქართულ ეკლესიას, პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, ლიტერატურული ჟურნალების ,,მნათობისა" და „ცისკრის" აღდგენისათვის.

„მნათობს" უდიდესი ტრადიცია აქვს. იგი 1924 წლიდან გამოდის.

,,თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ჟურნალი იდგა ქართული კულტურული ცხოვრების, შემოქმედებითი გალაქტიკის ცენტრში" – წერს ჟურნალისტებისთვის სიტყვაძუნწად აღიარებული რესპონდენტი თამაზ ჭილაძე, რომლის შეფასებათა მცირე ქრონიკაც კი ხელჩასაჭიდია ქართული საზოგადოების სულიერი გაჯანსაღებისთვის. ,,მნათობის" წინასიტყვაობაში თამაზ ჭილაძე იხსენებს:

,,დემოკრატია მართვის სისტემაზე მეტად მთავრობის შემზღუდავი სისტემაა. ეს არის ძალაუფლების შემაკავებელი სისტემა, რათა პოლიტიკა და მთავრობა მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ ცხოვრებაში ნამდვილად მნიშვნელოვან ღირებულებებთან შედარებით", – ასე მიმართა რეიგანმა ერთერთი უნივერსიტეტის სტუდენტებს, რაც თავისთავად, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრეზიდენტი „ცხოვრებაში ნამდვილად მნიშვნელოვან ღირებულებად" სწორედ განათლებას, სულიერებას მიიჩნევდა."

მწერალთა ასოციაცია „მნათობის" შექმნა ბოლოდროინდელი ლიტერატურული ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტია. ამ ჯგუფში გაერთიანებულ მწერლებს აწუხებთ ქართული კულტურის ბედი და ზრუნავენ მისი გადარჩენისა და განვითარებისათვის. მათთვის სულერთი არ არის – ვინ შემოდგამს ფეხს ქართულ მწერლობაში.

ქართული მწერლობისთვის მეტად აქტუალურ პრობლემებზე მწერალთა ასოციაცია ,,მნათობის" გამგეობის წევრი ქეთევან შენგელია გვესაუბრა.

,,ჩვენ გვაერთიანებს ლიტერატურის სიყვარული და არა ვინმეს მიმართ სიძულვილი"

– მწერალთა კავშირში ასოციაცია ,,მნათობის" შექმნამ უთანხმოება ხომ არ გამოიწვია?

– მართალი გითხრათ, არც გამირკვევია ასოციაცია „მნათობის" შექმნამ რა გამოიწვია. პირადად მე, დაპირისპირებული არავისთან ვარ და ეჭვი არ მეპარება, რომ ვისთვისაც ლიტერატურა „პურია არსობისა", მისთვის ამგვარი სიახლე ყოველთვის სასიხარულო იქნება.

ჩვენი ასოციაციის შემადგენლობის ნაწილი მწერალთა კავშირის წევრია, ნაწილს უკვე დიდი ხანია გაწყვეტილი აქვს მასთან კავშირი, ნაწილი შეიძლება დაპირისპირებულიც არის ვინმესთან. ამ ნიშნის მიხედვით, ასოციცია ,,მნათობი" არ შექმნილა. მისი მთავარი მიზანია ემსახუროს ქართულ კულტურას.

ჩავთვალეთ, რომ მიმდინარე ლიტერატურული პროცესების გამო აუცილებელი იყო გარკვეული სამწერლო ჯგუფის შექმნა. აქ გაერთიანებულნი არიან სწორედ ის მწერლები, რომელთათვისაც ლიტერატურა ნამდვილი ცხოვრებაა და არა გასართობად, სალაღობოდ ან პოპულარობის მოსაპოვებლად გამოგონილი საქმე (არ ვგულისხმობ იმას, რომ მსგავსად მოფიქრალი მწერალი ამ ასოციაციის მიღმაც ამგვარად არ შრომობდეს).

მწერლობა აუცილებლად უნდა ზრუნავდეს ახალგაზრდობის სულიერებასა და გემოვნებაზე. მან უნდა მოახერხოს ადამიანის დიად პრობლემებზე ჩაფიქრება და მეგობარივით დაუდგეს გვერდით.

ჩვენ გვაერთიანებს ლიტერატურის სიყვარული და არა ვინმეს მიმართ სიძულვილი.

კონკრეტულად რა გვაერთიანებს? ეს გახლავთ პრობლემები:

– გული მტკივა, რომ მოსახლეობის ნაწილმა, წიგნი დაივიწყა. რატომღაც, ყვითელი პრესა პოპულარული გახდა, იაფფასიანმა ლიტერატურამ სცადა ადგილის დამკვიდრება, ახალგაზრდობის ნაწილსაც არ სურს ფასეული კულტურის ფესვზე იყოს ამოზრდილი; მაგრამ სიახლე ამის გარეშე წარმოუდგენელია. თანამედროვე ლიტერატურა თუ გვინდა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, საფუძვლიანად უნდა ვუღრმავდებოდეთ გასული საუკუნის, კლასიკოს მწერალთა ნააზრევს; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სწორი სამწერლო ორიენტაციის, თუნდაც მიმდინარეობის ამორჩევა. ის რაც ნამდვილად ფასეულია, მარადთანამედროვეა და ამიტომაც არის მუდამ საინტერესო.

ქეთევან შენგელია

დიდი ლიტერატურა საბადოს ჰგავს, იქიდან ხანგრძლივად შეიძლება ადამანმა ძვირფასი ქვებივით ამოკრიბოს ჭეშმარიტებასთან მიახლოვებული აზრები.

გარდა ამისა, ასაღელვებელია ის ფაქტი, რომ დღეს, თითქმის, არ არსებობს თანამედროვე ქართული ლიტერატურის კრიტიკა. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. რატომღაც ყველა ვუფრთხით ავსა და კარგს თავის სახელი დავარქვათ. სწორედ ის დროა, რომ გამახვილდეს ყურადღება დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებზე.

თანამედროვე კრიტიკამ აუცილებლად ფეხი უნდა აიდგას, რადგან ძალიან ჭრელი ნაკადი შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში. იკარგება ახალი, ლიტერატურისათვის ღირებული სახელები, მათ გვერდით, ვისთვისაც მწერლობა არის ექსპერიმენტის, თავის გამოჩენის, პოპულარობის, ზოგჯერ უნიჭობის დამალვის საშუალება.

დღევანდელ ქართულ ლიტერატურას საინტერესო სახელები ემატება, მიუხედავად ამისა, მაკვირვებს თანამედროვე მწერალთა „ნაწილის" მისწრაფება უხამსი სიტყვებისკენ, ქაოსისკენ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს სიახლეა, ცდება. ასეთი „რამ" სხვადასხვა დროს ხშირად შემოჭრილა ევროპულ ლიტერატურაში, მაგრამ ფეხი არ მოუკიდებია. რატომღაც, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს არის ერთგვარი მიმდინარეობა, უნდა მოგახსენოთ რომ, ანტილიტერატურას მიმდინარეობა არ გააჩნია; მიმდინარობა, მხოლოდ ნამდვილ ლიტერატურას შეიძლება ჰქონდეს. ამ საუბრის გამო, ნურავის ეგონება, რომ მწერლობით დაინტერესებული ნიჭიერი თაობის შემოქმედებას ეჭვის თვალით ვუყურებ, პირიქით, სწორედ მათ არ მინდა შეეშალოთ ხელი, არ მინდა ეგონოთ, რომ დაუფიქრებლად და უხეშად შიძლება მოექცნენ ქართულ სიტყვას. განსაკუთრებით ფაქიზი და მოსაფრთხილებელია პოეზია. ის ვერ აიტანს ბარბარიზმებს, უხეშ გამონათქვამებს.

– პოლიტიკაში პირველი პირები კულტურის მოღვაწეთა ავტორიტეტით ხშირად სარგებლობენ და ზოგჯერ ფარადაც იყენებენ საზოგადოების კეთილგანწყობისთვის. რაც მეტი მწერალი მიიღებს მონაწილეობას ხელისუფლების პოლიტიკის პროპაგანდაში, მით უფრო ზარალდება საზოგადოება სულიერი საკვების გამოცლის თვალსაზრისით. შეიძლება ღიად არა, მაგრამ ოჯახში, ქართულ სუფრაზე ხშირად გაიგებთ პრეტენზიას – სად არიან ჩვენი მწერლები? სად ხართ თქვენ?

– მე მოვერიდები ჯგუფის სახელით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას და საკუთარ აზრს მოგახსენებთ. მგონია, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის თემაზე (თუმცა, ბედნიერი ვიქნები თუ ამას მოვესწრები), ეკონომიკურ პრობლემებზე, საბანკო და ფინანსურ საკითხებზე საუბარი, სიგამხდრისა და სიმსუქნის, მედიცინის, სპორტის თუ სხვა პრობლემებზე ლაპარაკი – ეს მწერლობის საქმე არ არის. მწერალი ყველაფერში უნდა ერკვეოდეს, კალმით იბრძოდეს საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ ყველა საკითხზე კომპეტენტური აზრის გამოთქმას, სჯობს, მწერლობაზე გამოვთქვათ ჩვენი აზრი. რაც შეეხება სხვა პროფესიის ადამიანებს, მათაც უნდა გვაცალონ, თავად გადავწყვიტოთ, ვის დავარქვათ მწრალი და ვის არა.

აღდგება თუ არა უნივერსიტეტის მწერალთა წრე?

ზაფხულში უნივერსიტეტის ,,ლიტერატურული დახელოვნების სახელოსნო" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო გაუქმდა. მას პოეტი ქეთევან შენგელია ხელმძღვანელობდა. ლიტერატურული დახელოვნების სახელოსნო 2004 წელს თსუ-ს ,,ახალგაზრდა მწერალთა წრის" ბაზაზე დაარსდა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. გასული საუკუნის მწერლობის პირველი შემოქმედებითი ასპარეზი ,,ახალგაზრდა მწერალთა წრე" იყო. სწორედ მასთან იყვნენ დაკავშირებულნი მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, ოტია პაჭკორია, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, არჩილ სულაკაური, რევაზ ინანიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ნაზი კილასონია, ჯანსუღ ჩარკვიანი, მაგალი თოდუა, რევაზ თვარაძე და სხვანი.

,,თსუ-ს ლიტერატურულ სახელოსნოში შესანიშნავი ახალგაზრდები იყვნენ გაერთიანებულნი. ეწყობოდა სტუდენტების შემოქმედების განხილვა-გარჩევები, წიგნების პრეზენტაციები, ლიტერატურული საღამოები, რაც დიდ სამსახურს უწევდა მომავალ მწერალთა ზრდას და ჩამოყალიბებას. ამჟამადაც დიდია სტუდენტთა მოთხოვნა ,,ლიტერატურული სახელოსნოს" მიმართ.

ვისაც სურვილი ჰქონდა და წერდა, ან ვისაც ეგონა, რომ წერდა, ზოგი ნიჭიერი, ზოგი ნაკლებად ნიჭიერი – ყველა ჩვენთან მოდიოდა. როდესაც საქმე ეხება ჩვიდმეტი წლის ადამიანს, ის არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვო. მას ბევრჯერ უნდა მოუსმინო. პირველ კურსზე შეიძლება მოსაწონი ვერაფერი დაწეროს, მესამე კურსზე კი მისი სახით შეიძლება სრულიად სხვა ადამიანს შეხვდე", – აღნიშნა ქეთევან შენგელიამ, რომელიც ლიტერატურული დახელოვნების სახელოსნოს აღდგენის მიზნით რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გიორგი ხუბუასთან შეხვედრას იმედით ელოდება.

წიგნის თარო

„ტუჩებზე დარჩენილი სიმართლის მწარე გემო"

ახალი სიუჟეტები წიგნის მაღაზიაში

მზევინარ ხუციშვილი

„წიგნი მდიდარი ჭურჭელია, რომელიც ჩვენ გვავსებს, მაგრამ თვითონ არ ცარიელდება" – უთქვამთ ბრძენ ადამიანებს. წიგნს კომპიუტერი ვერასდროს შეცვლის – ამას აღიარებს ყველა, ვინც წიგნის კითხვისას მიღებულ სიამოვნებას არასდროს გაცვლის კომპიუტერიდან ამოკითხული ინფორმაციით თავისი ცოდნის გამდიდრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის მაღაზიებში ამ სეზონზე, ძირითადად, სასკოლო სახელმძღვანელოები იყიდება, არჩევანი მაინც დიდია.

რას სთავაზობენ გამომცემლობები წიგნის მოყვარულთ?

ის, ვინც ქართული რომანებითაა დაინტერესებული, შეუძლია იხილოს: **ნანა იაშვილის „7 წელი ტყვეობაში"**, რომელშიც გადმოცემულია გისოსებს მიღმა გატარებული შემზარავი წლები, გაქცევის უამრავი მცდელობა, სასიყვარულო ვნებათა ღელვა და ექიმების მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომა...

გამოვიდა ოთარ **ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა"** ახალი ვერსია. მასზე გურამ ასათიანი ამბობს: „ეს ის ნაწარმოებია, რომლის კითხვის დროს სიმართლის მწარე გემო გრჩება ტუჩებზე..."

დეტექტივების მოყვარულთ შეუძლიათ შეიძინონ: **ნინო წულუკიძის ახალი წიგნი „სულების შურისძიება"**. იდუმალებით მოცული, საიქიოდან შურის საძიებლად დაბრუნებული სექტა მიცვალებულთა გულებზე ნადირობს. ახალგაზრდა გამომძიებელი ქალი კი გამოძიების კვალს მიყვება.

გამოსულია, აგრეთვე, **მაია ბურჭულაძის „ფსიქოპატთა თამაშები"** და ბორის აჯუნინის, იგივე **გიორგი ჩხარტიშვილის „ლევიათანი"**, რომლის თარგმანიც მიხო მოსულიშვილს ეკუთვნის.

ქართველი მწერლებიდან უახლოეს მომავალში **ლაშა ბულაძის ახალ რომანს „ოქროს ხანას"** ვიხილავთ. როგორც გამომცემლობის დირექტორმა, ქალბატონმა თინა მამულაშვილმა აღნიშნა – „მწერლის ახალი რომანი არის ფაქტობრივად ერთგვარი გაგრძელება „ბოლო ზარისა", რომელიც იყო მეთერთმეტეკლასელებზე. ხოლო ეს ახალი რომანი დაწერილია სტუდენტებზე და თბილისელი სტუდენტების ცხოვრებაზე. რომანი გროტესკულია და მოქმედება მიმდინარეობს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მწერალი გამადიდებელი შუშით უყურებს რეალობას. მასში ძალინ ბევრი ირონიაა. ბევრმა სტუდენტმა შეიძლება საკუთარი თავიც კი ამოიცნოს, შეიძლება ცოტა გაბრაზდნენ კიდეც, მაგრამ თვითონ რომანი ძალიან ლამაზად და მხიარულად იკითხება. მოცულობით რომანი პატარაა. ამავე დროს, ჯერ, მართალია, დეტალები დასაზუსტებელია, მაგრამ შესაძლებელია წიგნის პრეზენტაცია უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზეც შედგეს, რადგან მოქმედი გმირები, სწორედ ამ ფაკულტეტის სტუდენტები არიან. დიდი იმედი მაქვს, რომ სტუდენტები წაიკითხავენ ამ რომანს და ბევრ რამეზე დაფიქრდებიან. მართალია, ამით სტუდენტურ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება და ის გავლენასაც არ მოახდენს, მაგრამ, მგონია, რომ იგი ბესტსელერი გახდება."

ვიხილავთ **აკა მორჩილაძის ორ ახალ წიგნს**. ერთი მათგანი არის რომანი, ჯერ-ჯერობით სათაურის პირობითი სახელწოდებაა „სიყვარულში ჩამტკბარი ხუთი ქალი". ამ რომანის თავისებურება სწორედ ის არის, რომ არის ფრაგმენტული, როგორც მწერლის ბევრი ნაწარმოები. იგი ასახავს ადამიანის ისტორიას, რომელიც გარდაცვლილია, რომანში არ ფიგურირებს და რომელსაც სხვა ადამიანები იხსენებენ. მოქმედება ხდება, როგორც თბილისში, ასევე საზღვარგარეთ, ანუ ადგილ-მდებარეობა გეგორაფიულადაა გადატანილი, მათ შორის სანტ-ესპერანსაზეც. მეორე წიგნი კი შეიცავს მოთხრობების ციკლს, იგი ექვსი მოთხრობისგან შედგება და ასახავს კარგი ბიჭის ისტორიას. მას აგრეთვე დაემატება მომცრო რომანი „ახმეტ კაია" და ერთ წიგნად გამოვა. ასე რომ, ვისაც უყვარს აკა მორჩილაძის შემოქმედება, ვფიქრობთ, ეს წიგნებიც დააინტერესებს.

სიახლე ძალინ ბევრია. პარალერულად მუშაობა მიმდინარეობს თარგმანებზეც. მზადდება შვედი მწერლის კატერინა მაზეტის წიგნი, რომელიც შვედეთში ძალინ პოპულარულია. გამომცემლობამ მისი თარგმნის უფლება მოიპოვა და უახლოეს ხანებში გამოსცემს. მასში გადმოცემულია სიყვარულის ისტორია ინტელექტუალ ქალსა და გლეხ მამაკაცზე.

მათ კი ვისაც ბავშვები ჰყავთ ოჯახში, გამომცემლობა საინტერესო სიურპრიზებს სთავაზობს. უახლოეს დღეებში გამოვა საბავშვო წიგნი **„არქეოლოგია მოსწავლეთათვის"**, რომელიც არის საბავშვო შემეცნებითი ლიტერატურის სერიიდან. მასში ჩართულია ჩანართი საქართველოს არქეოლოგიის შესახებ. გარდა ამისა, გამოსაცემად მზადდება **„ძველი მსოფლიოს ენციკლოპედია", "ჰარი პოტერის" მეექვსე წიგნი, არჩილ სულაკაურის „სალამურა"** ახალი ილუსტრაციებით და ფორმატით, თარგმანი ინგლისური საბავშვო ლექსებისა. მუშაობა მთავრდება საქართველოს ილუსტრირებულ ატლასზე. უნდა აღვნიშნო, რომ ამ მნიშვნელოვან და მრავალფეროვან ლიტერატურას გამომცემლობა ახალ წლამდე შემოგვთავაზებს.

რა საღ როდის

მეცნიერთათვის ოქტომბრის დასაწყისი განსაკუთრებული დროა. ტრადიციულად ამ თვის პირველ ნახევარში სტოკჰოლმში აცხადებენ ნობელის პრემიის ლაურეატების სახელებს ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, ფიზიკასა და ქიმიაში.

ამჟამინდელი „ნობელის სეზონი“ ამერიკული მეცნიერების ტრიუმფად შეიძლება ჩაითვალოს — ამ დარგების ხუთივე ლაურეატი ამერიკის მოქალაქეა და უმაღლესი ჯილდო, მართლაც, ფუნდამენტური აღმოჩენის ავტორებს მიენიჭათ. ასეთი წარმატება ამერიკელებს აქამდე მხოლოდ ორჯერ ხვდათ წილად — 1946 და 1976 წლებში.

„გენური ცენზის“ უნივერსალური მექანიზმი

პირველი ლაურეატების სახელები 2 ოქტომბერს გახდა ცნობილი. ესენი არიან სტენფორდის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორი ენდრიუ ფაირი და მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი კრეიგ მელო. ისინი შუაზე გაიყოფენ 10 მილიონ შვედურ კრონს (1 360 000 დოლარი).

ფაირის და მელოს აღმოჩენა 1997 წელს სრულიად შემთხვევით დაფიქსირდა. ისინი ოთხ ასისტენტთან ერთად მუშაობდნენ ბალტიმორის კარნეგის ინსტიტუტის ემბრიოლოგიის ფაკულტეტის ლაბორატორიაში. იქ აღმოაჩინეს „გენური ცენზის“ უნივერსალური მექანიზმი, რომელსაც უწოდეს „RNA interferance“.

„RNA interferance“-ის მეთოდი უკვე ფართო კვლევების ობიექტია. ვარაუდობენ, რომ ეს მექანიზმი დაეხმარებათ სიმსივნისა და გენური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, ფილადელფიის კომპანია „Acuity Pharmaceuticals“ ატარებს კლინიკურ გამოცდას: ავადმყოფის ორგანიზმში შეყავთ რიბონუკლეინის მჟავის მცირე დოზა, რომელიც ახშობს ავადმყოფობის გამომწვევ გენს.

კოსმოსური ფონის კვლევებისთვის შექმნილი პირველი აპარატი

ნობელის პრემიის ლაურეატები ფიზიკის დარგში ერთი დღით გვიან, 3 ოქტომბერს გამოცხადდა. პრემია გადაეცათ ვაშინგტონის კოსმოსური ფრენების ცენტრის წამყვან სპეციალისტს ჯონ მაზერს და კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორს, ჯორჯ სმუტს.

ამ მეცნიერებმა დიდი როლი შეასრულეს თანამგზავრის COBE-ს მომზადებასა და გაშვებაში.



COBE არის პირველი კოსმოსური აპარატი, რომელიც სპეციალურად კოსმოსური ფონის კვლევებისათვის არის შექმნილი.

გენეტიკური ინფორმაცია

ქიმიაში ნობელის პრემია მხოლოდ ერთ მეცნიერს, სტენფორდის უნივერსიტეტის სტრუქტურული ბიოლოგიის პროფესორს, როჯერ კორნბერგს მიენიჭა. მისი გვარი ნობელიანტებს შორის უკვე ცნობილია. 1959 წელს ეს პრემია ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში მიენიჭა როჯერის მამას — არტურ კორნბერგს, რომელიც დღეს 88 წლისაა.

კორნბერგი-უმცროსი დაჯილდოვდა გენეტიკური ინფორმაციის გაღრმავების პროცესის გამოკვლევისათვის.

ორხან პამუკი — ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში

შვედეთის აკადემიამ გამოავლინა 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებაში, რომლითაც ეს პრემია თურქ მწერალს „ორხან პამუკს მიენიჭა, საუბარია, რომ მწერალმა „მშობლიური ქალაქის მელანქოლიური სულის ძიებაში კულტურათა შეჯახებისა და შერწყმის ახალი სიმბოლოები აღმოაჩინა“.

ორხან პამუკი 1952 წელს დაიბადა სტამბულში. მისი წინაპრები კავკასიიდან გადასულან თურქეთში და ამ მხარისთვის უჩვეულოდ თეთრი კანის გამო გვარი — პამუკი (ითარგმნება, როგორც ბამბა) მიუღიათ. მომავალმა მწერალმა სტამბულშივე დაამთავრა ამერიკული კოლეჯი და შემდგომ ტექნიკური უნივერსიტეტი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი ცხოვრობდა ამერიკაში და კოლუმბიის უნივერსიტეტში თურქულ ენას ასწავლიდა.

პამუკი თავდაპირველად არქიტექტურით დაინტერესდა, შემდეგ კი წერამ გაიტაცა და თავისი პირველი რომანიც გამოაქვეყნა, მაგრამ მას მწერლისთვის არც სახელი მოუტანია და არც ფული. დიდება მოგვიანებით მოვიდა. ბესტსელერებად იქცა მისი რომანები: „შავი წიგნი“, „მე მქვია წითელი“, „თოვლი“, „სტამბული — მოგონებების ქალაქი“. ეს ნაწარმოებები მრავალ ენაზე ითარგმნა, გასულ წელს კი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მსოფლიო-

ში ერთ-ერთი პრესტიჟული პრემიაც გადაეცა.

ორხან პამუკს მსოფლიო აღიარება სომეხთა და ქურთთა საკითხის შესახებ მისმა მოქალაქეობრივმა პოზიციამაც მოუტანა. 2005 წელს მან ინტერვიუ მისცა შვეიცარიულ ჟურნალს და განაცხადა: „მილიონი სომეხი და 30 ათასი ქურთი მოკლეს ამ მიწაზე და ჩემ გარდა ვერავინ ბედავს ამაზე საუბარს“.

სწორედ ამ სიტყვების გამო დაიწყო სასამართლო დევნა მის წინააღმდეგ, რამაც მსოფლიო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ევროსაბჭომ მკაცრი განცხადება გააკეთა და ამას „თურქული დემოკრატიის გამოცდა უწოდა“.

თურქი მწერლის დასაცავად აღიმაღლეს ხმა მსოფლიოში ცნობილმა მწერლებმა: ჟოზე სარამაგამ, გაბრიელ გარსია მარკესმა, გაუნტერ გროსმა, უმბერტო ეკომ, კარლოს ფუენტესმა, ჯონ ალდაიკმა, მარიო ვარგეს ლოსამ.

2006 წლის იანვარში შეწყდა სისხლის სამართლის საქმე ორხან პამუკის წინააღმდეგ, ოქტომბერში კი მას ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურის დარგში.

გლობალური დათბობა დედამიწის სიღრმიდან მოდის?

გლობალური დათბობა ვულკანის მოქმედების შედეგად ამოტყორცნილი მაგმის გიგანტური მოცულობის ბრალია — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ რუსი მეცნიერები



კამათი გლობალური დათბობის თაობაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს. უკანასკნელ ხანს უპირატესობა მოიპოვეს ამ მოვლენის არაანთროპოგენური წარმოშობის მომხრეებმა.

მათი აზრით, გლობალური დათბობის მიზეზია ვულკანური წარმოშობის სითბური აირები, რომელთა მოხვედრა დედამიწის წიაღიდან ატმოსფეროში შესაძლებელია ვულკანური მასის ამონთხევის შედეგად. აირები თავმოყრილია გეოსფეროს სიღრმეში მდებარე ფლუიდებში წყლის, ნახშირორჟანგის, ნახშირბადის ჟანგის მინარევების, აზოტის, წყალბადის, მეთანისა და სხვა ნივთიერებების სახით. სწორედ ეს ნივთიერებები მონაწილეობენ კონტინენტების ფორმირებასა და მადანის ჩამოყალიბების პროცესში, ისინი უზრუნველყოფენ გლობალურ გადაადგილებებს და ნივთიერებათა ტრანსპორტირებას დედამიწის სიღრმიდან ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროში, რაც განაპირობებს გარემო პირობების ცვალებადობასაც.

ამ დასკვნის მიღებამდე მეცნიერებმა შეისწავლეს ვულკანური წარმოშობის მაგმური ქანები. აღმოჩნდა, რომ მაგმის მოცულობას ატმოსფეროს ტემპერატურის 1-2 გრადუსით მომატების უნარი აქვს, რამაც მეცნიერებს მისცა საშუალება ივარაუდონ, რომ დედამიწის სიღრმიდან ამოტყორცნილი სუპერპლიუმების შედეგად გაჩენილი მაგმის გიგანტური მოცულობა შესაძლებელია იყოს გარემო პირობების გლობალური ცვალებადობის და კატასტროფული ბიოკრიზისის საფუძველი.

www.nature.com

კიდევ ერთხელ ყავის შესახებ

ყავის სასარგებლო თვისებებს არაერთი გამოკვლევა და სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა. ორგანიზაცია „**Association on Coffee Science**“-ის ინიციატივით სექტემბერში კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ მეცნიერები, რომლებიც ყავის, როგორც მატონიზირებელი სასმელის, უპირატესობას აღიარებენ.

მონრეალის 21-ე კონფერენციაზე ცნობილმა ფრანგმა ნეიროქიმიკოსმა ასტრიდ ნელიგმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ დღემდე შესწავლილი იყო ყავის მხოლოდ მასტიმულირებელი თვისებები, რომელიც დამოკიდებულია კოფეინის შემცველობაზე. ახლა კი აღმოჩენილია სხვა კომპონენტები, მაგალითად, მაღალაქტიური ანტიოქსიდანები, რომლებიც იცავენ უჯრედოვან სტრუქტურებს თავისუფალი რადიკალების დამანგრეველი ზემოქმედებისაგან. მეცნიერის მტკიცებით, ანტიოქსიდანური თვისებებით ყავა ბევრ ხილსა და ბოსტნეულსაც აჭარბებს.

თუ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთა პროფესორებს დავუჯერებთ, ყავის სისტემატური მოხმარება 80%-მდე ამცირებს ღვიძლის ციროზით დაავადების რისკს (ავტ. მილანის ეპიდემოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი კარლ ლა ვეკია), იცავს მამაკაცებს პარკინსონის დაავადებისაგან (ავტ. კაროლინის ინსტიტუტის მოლეკულური ფარმაკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი ბერტილდ ფრედგოლმი), ორჯერ ამცირებს მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის განვითარებას (ავტ. ჰელსინკის მედიცინის უნივერსიტეტის პროფესორი იაკო ტოომილეტი).

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჯანმრთელ ადამიანს საჭმლის მომნელებელი ან გულსისხლძარღვთა სისტემის ყოველგვარი რისკის გარეშე შეუძლია ყოველდღიურად მიირთვას 6 ფინჯანი ყავა,

პესიმისტები კი აცხადებენ, რომ ერთია დააკვირდე ჯანმრთელ ადამიანს, მეორე — რჩევა მისცე პაციენტს, მით უფრო, რომ არ ვიცით, რას ამტკიცებენ თავის კონფერენციებზე ყავის სმის მოწინააღმდეგენი.

WWW. elementy.ru

ბრძოლა თანასწორობისათვის

მეშვიდე გვერდიდან

კითხებით დაინტერესებული საზოგადოება. უნდა ითქვას, რომ 7 მომხსენებლიდან 6 ქალი იყო. სუსტი სქესის წარმომადგენლები დარბაზშიც ჭარბობდნენ.

მოხსენება თემაზე — „მედიკოსთა სამეტყველო ქცევის გენდერული განზომილება'' წაიკითხა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასპირანტმა მარინა გობიანმა.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მაგისტრმა თამარ მუმლაძემ ისაუბრა თემაზე — ,,სოციალური დომინანტობის ორიენტაციის გენდერული განსხვავებების ინვარიანტობის ჰიპოთეზა“.

საინრეტესო თემები წარმოადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მიმართულების მაგისტრმა ანი ვაშაყმაძემ (თემა — „გენდერული თანასწორობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში“), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორეკურსელმა მაგისტრანტმა ნატალია მჭედლიშვილმა (თემა — „ძალადობა ქალზე საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების ფონზე''), ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების მესამეკურსელმა ნინო ნადირაძემ (თემა — „გენდერი და ძალადობა“), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების მესამეკურსელმა გიორგი სანაძემ (თემა — „გენდერი და ძალადობა ოჯახში — კულტურული კონტექსტი“), მედიცინის ფაკულტეტის მეოთხეკურსელმა ნატო ფიცხელაურმა (თემა — „ჯანმრთელობის ტენდენციების გენდერული ანალიზი: ბალანსი თუ დისბალანსი?“).

კონფერენციას ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომელმაც წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა და გამოხატა მხარდაჭერა აღნიშნული ღონისძიებისადმი. სიტყვით გამოვიდნენ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი თამარ ხომასურიძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუგული მაღრაძე.

ჟიურის წევრი ოთხივე ქალი ერთ გამარჯვებულ გოგონას აჯილდოებს

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები შეაფასეს ჟიურის წევრებმა მარინა ჩიტაშვილმა (თსუ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), ნათელა ლაცაბიძემ (თსუ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი), ნინო ჯავახიშვილმა (თსუ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი), ნათია ჭელიძემ (თსუ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი). გამოავლინეს 1 გამარჯვებული „მედიცინის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი ნატო ფიცხელაური, რომელიც საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა, ხოლო ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი.

მიილებს თუ არა გენდერული თანასწორობა საქართველოში პირველობისთვის ბრძოლის ფორმას, ეს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა მხრიდან დასარეგულირებელი პრობლემაა, რადგან სუსტი სქესის წარმომადგენლები თავად ვერ იტყვიან უარს იმაზე, რასაც მსოფლიო გამოცდილება მათ სთავაზობს.

კონსულტანტი	ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი	გივი შეყილაძე
პასუხისმგებელი მდივანი	მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	რუსუდან ონეზაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური, თამარ მახარობლიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34
www.tsu.ge
newspaper@tsu.ge

შეკითხვა რედაქტორატს

უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსდა საფოსტო ყუთი წარწერით — ,,შეკითხვა რედაქტორატს", რისი საშუალებითაც შეგიძლიათ მოგვაწოდოთ თქვენი ხედვა, შეკითხვა, აზრი, განწყობა...

გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტში" ნახავთ პასუხს ყველა თქვენს შეკითხვაზე!

საკონტაქტო ტელეფონები:

რექტორის მისაღები	22-51-07
რექტორის მოადგილის მისაღები	29-08-25
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	23-03-80
საერთო განყოფილება (კანცელარია)	23-39-16; 22-59-44
სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური	29-08-46; 25-08-13
სტუდენტთა მომსახურების განყოფილება	91-27-91
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი	22-56-79
სამუზეუმო სამსახური	29-08-42
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	25-08-13; 25-36-18

ფაკულტეტების დეკანატები:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-08-07
ჰუმანიტარული ფაკულტეტი	22-21-08
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-05-94
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30-45-36
იურიდიული ფაკულტეტი	22-37-10
მედიცინის ფაკულტეტი	94-34-54